დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლელა ჯაში

წევრები:

დიმიტრი ქარსელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი;
ნონა ლაგვილავა -საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო მიმინოშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
ნინო ავალიანი -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
ხათუნა კალმახელიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
ჟანა ბელქანია -ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
ნიკოლოზ ჩუბინიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
თეონა აბრამიშვილი - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
ედუარდ ნაკაიძე -სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202887634

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	ნინოშვილის ქ. N39
ფაქტობრივი მისამართი	ნინოშვილის ქ. N39
საფოსტო ინდექსი	0164
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	-
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi29@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	(+992 032) 2951948

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N6 23 0000512387, 08/05/2023წ. - ,, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	8 და 9 ივნისი, 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი - I-VI კლასები;	ქართული ენა	ქალაქი თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნინოშვილის ქ. N39
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო - VII-IX კლასები;	ქართული ენა	ქალაქი თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნინოშვილის ქ. N39
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო - X-XII კლასები.	ქართული ენა	ქალაქი თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ნინოშვილის ქ. N39

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი ინტერაქტიურ რეჟიმში წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუირების პროცესი სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი, თანამშრომელთა პირადი საქმეები და სხვა დოკუმენტაცია. განხორციელდა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება.
საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტისა, რომელმაც ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.
სკოლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია ნაყოფიერი და თანამშრომლობითი იყო. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის დირექციას კარგად აქვს გათვითცნობიერებული, რომ სკოლის საჭიროებების კვლევა და კვლევის შედეგებზე დაფუძნებული მართვის სტრატეგია, დაწესებულების განვითარების საწინდარია. სკოლა სხვადასხვა პროცესების გამოკვლევის/დახვეწის/კორექტირების მიზნით, ხშირად მიმართავს კვლევის სხვადასხვა მეთოდებს. განსაკუთრებით ეფექტურად გამოიყენება ელექტრონული კითხვარები. გამოკითხვას, როგორც წესი, ანონიმური ხასიათი აქვს და რესპონდენტთა რაოდენობაც ინსტრუმენტის ხელმისაწვდომობის გამო, მაღალია. გამოკითხვის შემდგომი ეტაპი სტრუქტურირებულია - შედეგები განიხილება დაინტერესებულ პირებთან. საბოლოოდ, დგინდება შესაბამისი ინტერვენციები.
არაფორმალური განათლების მაღალი წილი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ინტერესების შესაბამისი აქტივობები - საინტერესოს და მიმზიდველს ქმნის სასწავლო პროცესს. სკოლაში არსებული ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია - პროცესები შეჯერებული, გაზიარებული და სკოლის საჭიროებებზეა მორგებული.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 860 (ორ ცვლაში)	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტების ჯგუფმა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა სრული შესაბამისობით.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი ...		.....
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	*რჩევა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი ...		.....
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:

- *რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება" (3.4.1.1.; 3.5.1.3, 3.6.3.1), ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი,,, ვინაიდან,*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

- *ინდიკატორი 3.1.2.4. - შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო - და ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც „შესაბამისი“.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაში მოკლევადიან პერიოდში მისაღწევი მიზნები არ არის გაწერილი. მისია განსაზღვრავს - თუ როგორი უნდა იყოს მოქალაქე, რომელსაც აღზრდის სკოლა. ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას განიხილეს სკოლის მიერ შედგენილი ორი მისია. ერთი, დამტკიცებული და მოქმედი, წარმოდგენილი იყო 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და მეორე, 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში არსებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. ამ უკანასკნელში, სკოლის ფილოსოფია შედგენილია სასკოლო-საზოგადოების ჩართულობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მოქმედი მისია, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, განხილულ იქნა სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულ იქნა პედაგოგიური საბჭოს მიერ (2022 წლის 7 სექტემბრის N22 სამეურვეო საბჭოს და N22 პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები).

აღსანიშნავია, რომ მოქმედი მისია ზოგად ხასიათს ატარებდა მასში გამოკვეთილად არ არის დეკლარირებული სკოლის მანდატი, სკოლისათვის დამახასიათებელი, მკაფიო მიმართულები. თუმცა, როგორც სკოლის არსებული ფილოსოფია, ისე, მისი პროექტი, შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის მოქმედი მისი, ხედვა და ღირებულებები ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და მათი შინაარსი მოიცავს მთავარ პრინციპებს - უსაფრთხო, ზრუნვაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, რაც მხოლოდ ფიზიკური გარემოს კონტროლს არ გულისხმობს და მოსწავლეების ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფასაც განაპირობებს. სკოლის ახალი ფილოსოფია (პროექტი, რომელსაც ჯერ საბოლოო სახე არ აქვს), კიდევ უფრო კონკრეტულად წარმოაჩენს სკოლის დანიშნულებას - მოსწავლეს ჰქონდეს შექმნილი ყველა პირობა, რომ თავი მაქსიმალურად დაცულად იგრძნოს და შეძლოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
3. სკოლის დირექციამ ინტერვიუირების პროცესში დაადასტურა, რომ სკოლის ფილოსოფიაში სრულად არ იყო ასახული სასკოლო საზოგადოების ინტერესები და ქმედითი ნაბიჯები გადადგა ახალი, დაწესებულებაზე მორგებული მისიის, ხედვის და ღირებულებების შედგენის, განხილვისა და გაზიარებისთვის. კერძოდ, სკოლამ აწარმოა სკოლის პედაგოგების, მოსწავლეების და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მასშტაბური, ელექტრონული გამოკითხვა. ექსპერტები ვიზიტის დროს გაეცნენ გამოკითხვის ინსტრუმენტის შინაარსსაც. კვლევის დასასრულს განხორციელდა გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომლის საფუძველზეც აისახა გარკვეული ცვლილებები მისიის, ხედვის და ღირებულებების არსებულ ჩანაწერში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
4. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის ახალი ფილოსოფია (პროექტი) - გამოიკვეთა, რომ სკოლის მისიას დაემატა შემდეგი შინაარსის ჩანაწერი - ,,დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი თავის ძიებაში, შეუქმნას პირობა ეფექტური თვითგანვითარებისთვის". როგორც გაირკვა, მისიაში ზემოაღნიშნული ჩანაწერის ინიციატორები მოსწავლეები იყვნენ. ისინი თვლიდნენ, რომ სკოლის ხელშეწყობა მათი პროფესიული ორიენტაციის გამოკვეთის, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გაზრდის, სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების ინტენსივობით, სახალისო საგანმანათლებლო აქტივობების შეთავაზების გზით დაეხმარებოდა საკუთარი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესაძლებლობების რეალიზებაში. სკოლის ღირებულებათა ნაწილში, მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, დაემატა პუნქტი - ,,ემპათია", რაც საყურადღებო მანიშნებელი უნდა იყოს დაწესებულებისთვის.

ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები დაინტერესდნენ - ცნობილი იყო თუ არა გამოკითხვის შედეგები მოსწავლეებისათვის და როგორ უზრუნველყო სკოლამ იმ მოსწავლეთა ინფორმირება, რომელთა პოზიცია სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში არ იყო გათვალისწინებული. როგორც გაირკვა, დაწესებულების დირექციამ განიხილა კვლევის შედეგები მოსწავლეებთან ერთად და შეჯერდა არსებულ პროექტზე. თუმცა, მათ აღნიშნეს, რომ პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეა და შესაძლებელია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები კიდევ დაექვემდებაროს კორექტირებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. კერძოდ, სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმაში სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფილოსოფიის ნაწილში - დოკუმენტი ასევე საჯაროა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
6. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლა". **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის 2022-2023 სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის 2023-2024 სასკოლო-სასწავლო გეგმის პროექტი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N22, 07.09.2022წ.
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N22, 09.09.2022წ.;
- მასწავლებელთა, მოსწავლეების და მშობლების კითხვარები;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანების N2-52, 21/03/2023წ. ,,სსიპ ქალაქ თბილსის N29 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ" საფუძველზე დაკომპლექტდა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სკოლაში არსებული ვითარების შესწავლა სასწავლო, მატერიალური და ადამიანური რესურსების კუთხით, რაც სჭირო იყო ახალი, შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის პროექტის შესამუშავებლად (სკოლის მოქმედი სტრატეგიული გეგმა 6 წლიან პერიოდ მოიცავს).

პროცესების ორგანიზებულად წარმართვა უზრუნველყო სკოლის მიერ შედგენილმა დოკუმენტმა, სახელწოდებით ,,სტრატეგიული გეგმის შემუშავების პრინციპები", რომელიც დამტკიცებულ იქნა სკოლის დირექტორის N2-51, 17.03.2023წ. ბრძანების საფუძველზე. წესში გაწერილია ყველა ის აქტივობა, რომელიც თანმიმდევრულად უნდა შეასრულოს სკოლამ, რათა მკაფიოდ განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ფორმირება საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. მეთოდოლოგიის II თავი ეთმობა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენის პროცედურებს, შედგენის ვადებს, სტრუქტურას და ა.შ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის მოქმედი სტრატეგიული გეგმა ექვსწლიანია. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლას წარმოდგენილი აქვს 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი - ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც ჩაშლილია ამოცანებად და დგინდება კორელაცია სკოლის ფილოსოფიასა და აღნიშნულ ჩარჩო დოკუმენტს შორის. მაგალითად, როგორც ზემოთ იყო განხილული, მოსწავლეთა ჩართულობის საფუძველზე სკოლის მისიას დაემატა ჩანაწერი სკოლის მიერ მოსწავლეთა ხელშეწყობის შესახებ, კერძოდ, ,,დაეხმაროს მოსწავლეებს საკუთარი თავის ძიებაში", რაც შესაძლებელი იყო საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გაზრდით. სწორედ სტრატეგიული მიზანი - ,, სკოლა აქტიურად იყენებს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას" დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში როგორც საქართველოში, ისე, მის ფარგლებს გარეთ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულ იქნა სამეურვეო საბჭოს მიერ და განხილული პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (N22, 07.07.2022წ.) . აღსანიშნავია, რომ ახალი სამოქმედო გეგმის შედგენა განხორციელდა წინა წლის (2021-2022 წწ.) სამოქმედო გეგმის შედეგების განხილვის საფუძველზე (პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N21, 30.06.2022წ.).

ერთწლიან გეგმაში გამოყოფილია 5 ძირითადი მიმართულება, რომლებიც პასუხობენ ახალ გამოწვევებს, კერძოდ: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება და კურიკულუმების დახვეწა-შემუშავება, სასკოლო დოკუმენტაციის შემუშავება/განახლება და ორგანიზაციული განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფა, მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა. ზემოაღნიშნული მიმართულელები ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4.ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანები ჩაშლილია კონკრეტულ აქტივობებად. მითითებულია შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები. მაგალითისთვის, ამოცანა ,,სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება“ მოიცავს: შიდა სასკოლო პროექტების დანერგვას და მართვას (პრეზენტაციები, კონკურსები, ოლიმპიადები, მიზნობრივი ექსკურსიები და სხვა), სხვადასხვა სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობას, მოსწავლეთა მომზადებას, მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვას, შემდგომ ანალიზს და ანალიზის შედეგების გათვალისწინებებით თანმდევი ღონისძიებების განხორციელებას და ა.შ. სამოქმედი გეგმის განხილვის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა განხორციელებაც რეალისტურია.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის ერთწლიანი გეგმა (2022-2023წწ.);
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2023-2030 წლის სტრატეგიული გეგმის პროექტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლა მონიტორინგში მოიაზრებს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის შემოწმებას. მეთოდოლოგიის თანახმად, შეფასება წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციის პროცესისა და გავლენის მაქსიმალურ, სისტემურ და ობიექტურ შეფასებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, ახალი, 2022-2023 სამოქმედო გეგმის შედგენა განხორციელდა წინა წლის (2021-2022 წწ.) სამოქმედო გეგმის შედეგების განხილვის საფუძველზე - ახალ დოკუმენტში სკოლამ დახვეწა და კორექტირება მოახდინა ყველა იმ მიმართულების, რაც დადებითად აისახებოდა სკოლის განვითარებაზე. ინტერვიუირების პროცესში, სკოლის ადმინისტრაციის წევრებმა ისაუბრეს იმ სარგებელზე, რაც მონიტორინგის და შეფასების პროცესს თან სდევს. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილ ჯგუფს, სწორედ სკოლაში შექმნილი ვითარების შესწავლა (მათ შორის, მოქმედი ერთწლიანი და სტრატეგიული გეგმების განხილვის შედეგებზე დაყრდნობით) და სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გამოკვლევა (როგორც ცნობილია, სკოლა ეფექტურად იყენებს ელექტრონული გამოკითხვის ფორმატს) დაევალა. შედეგების განხილვის საფუძველზე, SWOT ანალიზის შესაბამისად, დადგინდა ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე ის შესაძლებლობები და საშიშროებები, რომლებიც სკოლის წინაშეა.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის დირექციასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს სტრატეგიული გავითარების გეგმის (პროექტი) და სამოქმედი გეგმების შედეგების საჯაროობას. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წერილი, საიდანაც ირკვევა, რომ სკოლა უზრუნველყოფილი იქნება ელექტრონული პორტალით, სადაც შემდგომში შეძლებს ატვირთოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები. თუმცა მანამდე, მიმდინარე წლის ბოლოს, სამოქმედო გეგმის შედეგების განხილვა (საჯაროობა) განხორციელდება დირექციასა და სკოლაში დასაქმებული სხვა თანამშრომლებისათვის.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს, რომლის საფუძველზე დგინდება ერთლიანი და შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგები, რომელსაც სკოლა გამოიყენებს ახალი, სტრატეგიული და სამოქმედი გეგმის შედგენის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას აქვს უკვე გამოცდილება - 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმის შედგენა, განხორციელდა სწორედ 2021-2022 წლის გეგმის განხილვის/შეფასების შედეგების გათვალისწინების საფუძველზე.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის ერთწლიანი გეგმა (2022-2023წწ.);
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი გეგმის შესრულების ანგარიში;
- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2023-2030 წლის სტრატეგიული გეგმის პროექტი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 06 თებერვლის N130815 წერილის საფუძველზე, დამტკიცდა სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის საშტატო განრიგი (ბრძანება N1/კ- 05, 08.02.2023წ.)., რომლის თანახმად, სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების პოზიციები შემდეგია: დირექცია - დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი. ადმინისტრაცია - საქმისმწარმოებელი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებელი (45). საშტატო განრიგი მოიცავს სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ნუსხასაც, რომელთა შორის არიან: სკოლის ექიმი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, დამლაგებელი (3), დარაჯი (2), მუშა, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტი (2), ტექნიკური და სხვა მომსახურე პერსონალი (ცეცხლფარეში).

   სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი მათი ფუნქციები და მოვალეობები. სკოლის სტრუქტურული ერთეულები - პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციის, მოსწავლეთა თვითმმართველობის და დისციპლინური კომიტეტის საქმიანობას წარმართავენ დებულებების შესაბამისად. სკოლის დირექტორის ბრძანების N2-70, 24.04.2023წ. საფუძველზე, დამტკიცდა სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები, რომელთა მოთხოვნათა შესრულება სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული ყველა პირისათვის. თანამდებობრივი ინსტრუქციების გაუქმება ან მასში ცვლილების შეტანა ხდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც სკოლის საქმიანობის და მიმდინარე პროცესების მწყობრად ორგანიზების წინაპირობაა. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიურების პროცესში იკვეთება, რომ დაწესებულებაში დასაქმებულები კარგად აცნობიერებენ საკუთარ საქმიანობას და მათ ზეგავლენას სკოლაში მიმდინარე პროცესებზე. სკოლაში არსებული ანგარიშველდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას თვალი ადევნოს მათ საქმიანობას და საჭიროებისამებრ, უზრუნველყოს პროცესების მართვა/კორექტირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებშიც, განსაზღვრულია თითოეული პირის/რგოლის ვალდებულები, საქმიანობა და ვადები.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის საშტატო განრიგი;
- სკოლის დირექტორის ბრძანება N1/კ- 05, 08.02.2023წ. - საშტატო განრიგის დამტკიცების თაობაზე;
- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციები დამტკიცებული დირექტორის N2-70, 24.04.2023წ. ბრძანებით;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის პერსონალის მართვა ხორციელდება სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტის - ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა,, შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტი შედგენილია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების და ზოგადი განათლების შესახებ ბრძანების საფუძველზე. სკოლას დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომლის გაცნობა სავალდებულოა სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლისათვის (საქმეშია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სადაც სკოლის ყველა თანამშრომელი ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობას). სკოლის შინაგანაწესი აღწერს სკოლაში არსებულ სამუშაო გარემოს - სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დროს, სამუშაოზე დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, შვებულებით სარგებლობის შესახებ რეგულაციებს და ა.შ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**.

2. როგორც ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, სკოლას შემუშავებული აქვს თანამშრომელთა საჭიროებების დადგენის მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები. კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტის ,, სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ მე - 6 მუხლის საფუძველზე, ხორციელდება ადამიანური რესურსის შეფასება - მონიტორინგი, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება. თუ გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გარკვეული ხარვეზებია, ან მასწავლებლები საჭიროებენ გარკვეულ საკითხზე ტრენინგის ჩატარებას ადგილობრივი რესურსით, ან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის პროფესიული განვითარების შეთავაზებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლის პერსონალის შერჩევა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის და სკოლის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესში დეტალურად არის გაწერილი დაწესებულებაში თანამშრომელთა მიღების წესი. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტიც - „ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი“ , რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. წესი არეგულირებს: კონკურსის მიზნებს და ამოცანებს, კონკურსის პრინციპებს, კონკურსის გამოცხადებას, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადებების წარდგენას, კონკურსის ჩატარების პროცედურას, საკონკურსო კომისიის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადაწვეტილების მიღების წესს და კონკურსის შედეგებს, კონკურსის შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს. საქმეშია ექიმის და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის - სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის შტატზე ვაკანტური ადგილების დასაკავებლად შედგენილი კონკურსის ჩატარების წესი, სადაც დეტალურად არის აღწერილი ყველა ეტაპი.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაიცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობეს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებული იყო 56 თანამშრომელი, საიდანაც 41 მასწავლებელია. ყველა მასწავლებელს მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი და შრომითი ხელშეკრულებებიც სტატუსების შესაბამისად არის გაფორმებული. პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო ცნობები ნასამართლობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. სკოლის პედაგოგებმა (სულ 2), რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ სკოლაში 2020 წლის შემდგომ, დარეგისტრირდნენ შსს მომსახურების სააგენტოს ელექტრონულ პორტალზე და მოითხოვეს ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ. **შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში სკოლის გარკვეულ მასწავლებლებს (სულ 2) არ ჰქონდათ ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.4. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადა დასრულებულია (15.06.2023წ.) შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

5. სკოლის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია და შესაბამისად, გუნდური მუშაობა, გადაწყვეტილებების შეჯერება, ერთობლივი გზების ძიება სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა. სკოლის სტრუქტურული ერთეულები გამართულად და შეთანხმებულად მუშაობენ. მათი გადაწყვეტილებები არგუმენტირებულია და დადებითად აისახებ სკოლის განვითარებაზე.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. ინტერვიუირების დროს სკოლის თანამშრომლებმა გაუზიარეს ექსპერტებს ინფორმაცია ერთობლივად დაგეგმილი აქტივობების, ღონისძიებების თუ პროექტების თაობაზე, რომელთა ზეგავლენა სასკოლო საზოგადოებაზე უდავოდ, დადებით გავლენას იქონიებდა. მათი ჩამონათვალი საკმაოდ შთამბეჭდავია და როგორც მასწავლებლების, ისე მოსწავლეების ორგანიზებით არის დაგემილი. მაგალითად, პროექტი, სახელწოდებით „ბავშვები და კონსტიტუცია“, მოიცავდა რამდენიმე საფეხურს, რომლის ფარგლებში მე-3 და მე-4 კლასელებმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შექმნეს ვიდეორგოლი, ბიოლოგიის მასწავლებლის ორგანიზებით გარემოს დაცვის მიზნით, სკოლაში ხდება ნარჩენების მართვა და ა.შ.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა,,;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის „ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- შინაგანაწესის გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემები;
- სკოლის თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- სკოლაში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი მასალა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. შემუშავებულია შესაბამისი დებულება, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N2-195, 26.11.2020წ. მხარდამჭერი ჯგუფი ახორციელებს მასწავლებლების შეფასებას მათ საქმიანობაზე დაკვირვების გზით. სკოლას წარმოდგენილი აქვს ხარისხის მართვის ჯგუფის შეფასების ფურცელი, სადაც გაკვეთილზე დაკვირვების საფუძველზე, პედაგოგთან შეთანხმებული კრიტერიუმების შესაბამისად, ხორციელდებოდა დაკვირვების შედეგების აღნუსხვა სპეციალურ ფორმაში. გაკვეთილის დასრულების შემდგომ, ხორციელდებოდა მასწავლებლის შეფასება და იკვეთებოდა თითოეული მასწავლებლის საჭიროებები. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტის, ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ მიზნები და სტრატეგია, სწორედ, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლებაა. სკოლა თანამშრომელთა საქმიანობის დაგეგმვასა და წარმართვას ისე ახორციელებს, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა რეგულარულად ახორციელებს თანამშრომელთა შეფასებას, რის საფუძველზეც, საჭიროების შემთხვევაში, იგეგმება მხარდამჭერი ღონისძიებები. თითოეულ თანამშრომელს საშუალება აქვს სკოლაშივე მიიღოს დეტალური უკუკავშირი სკოლის დირექციისგან. როგორც ირკვევა, სკოლისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი პროფესიული განვითარების მიმართულებით მასწავლებლებში ციფრული კომპეტენციების განვითარებაა და შესაბამისი მხარდაჭერაც უზრუნველყოფილია. ზოგადად, ტექნოლოგიების გამოყენება ყველა მიმართულებით (როგორც სწავლა-სწავლების პროცესში, ისე პროფესიული განვითარებისათვის) შესაძლებელია სკოლის ერთ-ერთ ძლიერ მხარედ მივიჩნიოთ. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა თანამშრომელთა სხვადასხვა აქტივობებში (ტრენინგები, კონფერენციები, შეხვედრები, პროექტები) მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას, ამავდროულად, ხელს უწყობს მათ კარიერულ ზრდასაც. მაგალითისთვის, სწორედ სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე (N19, 19.11.2021წ.) გადაწყდა, რომ სკოლის მასწავლებლის (ლ.გ.) მონაცემების, განსაკუთრებული წესით სქემით გათვალისწინებული წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მისანიჭებლად, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთვის წარდგენა. აღსანიშნავია, რომ სხდომის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი აღნიშნულ გადაწყვეტილებას.

სკოლის პედაგოგები რეგულარულად ესწრებიან სქემის ფარგლებში, სტატუსის შესაბამისად, მათთვის განკუთვნილ ტრენინგებს, რასაც ადასტურებს მასწავლებლის სახლის მიერ გაცემული შესაბამისი სერტიფიკატები. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრის თანამშრომლებთან, რაც დადებითად აისახება მათ პროფესიულ განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის დირექციასთან და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ დაწესებულება თანამშრომელთა ინტეგრაციის მიზნით კონკრეტულ ნაბიჯებს ახორციელებს, მათ შორისაა სკოლის გამოცდილი მასწავლებლების მხრიდან ახალბედა პედაგოგების მხარდაჭერა, პროფესიული დიალოგი, დასწრება გაკვეთილებზე და შესაბამისი უკუკავშირი. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია, შინაგანაწესი, მკაფიოდ გაწერილი ინსტრუქციები - ადაპტაციის პროცესის გამარტივებას უზრუნველყოფს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია სკოლის დირექციის მიერ. ინტერვიუირებისას სკოლის მასწავლებლებმა აღნიშნეს,რომ მუდმივად გრძობენ სკოლის მხარდაჭერას. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების და პოპულარიზაციის მიზნით, სკოლაში ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება, დირექციის შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდების ეფექტიანობა, დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება სხვადასხვა წამახალისებელი ღონისძიებები.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა";
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N19, 19.11.2021წ.
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატები;

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა რეგულირდება დაწესებულების მიერ შედგენილი რამოდენიმე დოკუმენტით. მათ შორისაა, სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ადგენს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვისთვის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებებს. სკოლაში დანერგილია ორი ტიპის შეფასება: შიდა ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ეფუძნება ციკლს დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე. შიდა შეფასება მიმართულია ძლიერი მხარეების შესანარჩუნებლად, სუსტი მხარეებისა თუ არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ტარდება სწავლის/სწავლების ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. სკოლის მიერ დამტკიცებულია ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმებიც უზრუნველყოფს სკოლაში დასაქმებული პირების განვითარებას - იდენტიფიცირებულია მათი საჭიროებები და ხორციელდება მათი მხარდაჭერა.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. დაწესებულების შინაგანაწესი დეტალურად აღწერს იმ პროცესებს, რომელიც სკოლის თანამშრომლების საქმიანობას არეგულირებს, მათ შორის - შრომის პირობებს, მასწავლებლების და მოსწავლეების წახალისების სახეებს, დისციპლინურ პასუხისმგებლობას, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს და ა.შ. სკოლის ერთწლიანი საქმოქმედო გეგმაც, აღწერს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს, შემსრულებელ პირებს და დროის კონკრეტულ მონაკვეთს - განხორციელების ვადებს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. როგორც უკვე აღინიშნა, სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები - მასწავლებლის და მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის და პასუხისმგებლობის სახეები (ცალ-ცალკე), დისციპლინური წარმოების წესი (მოსწავლისთვის და მასწავლებლისათვის), განცხადების და საჩივრის განხილვის წესი და.ა.შ.

სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგთა შესარჩევ კონკურსებთან დაკავშირებით, სკოლაში იქმნება საპრეტენზიო კომისია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარდა ამისა, სკოლას აქვს შედგენილი დოკუმენტი, სახელწოდებით ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა", სადაც დეტალურად არის გაწერილი სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურები.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4.დაწესებულებას შედგენილი და სკოლის დირექტორის 2021 წლის 19 თებერვლის №2-17 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომინუკაციის სტრატეგია), სადაც დეტალურად არის გაწერილი მხარეთა (მშობელი, სკოლა) უფლება მოვალეობები. პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები აღწერილია სკოლის შინაგანაწესში. მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც მხარეთა უფლება-მოვალეობებს არეგულირებს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურა;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომინუკაციის სტრატეგია);
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლაში შედგენილი მართვის პროცესებთან დაკავშირებული გარკვეული დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობის ვალდებულება სკოლის ყველა თანამშრომელს და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვთ. მათ შორისაა, სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო-სასწავლო გეგმა (გარდა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა), რომლის გაცნობის უზრუნველყოფას ახორციელებს სკოლა (საქმეშია მშობლების მიერ შინაგანაწესის გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე მშობელთა კრების ამსახველი ოქმი, სადაც განხორციელდა სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობა). როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს კომუნიკაციის პროცესში, მათ შორის, მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგების კვლევას დაწესებულებაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. სკოლის ელექტრონული ჟურნალიც მშობლებთან კომუნიკაციის ეფექტური ინსტრუმენტია. დამრიგებლები, ასევე ახდენენ მშობელთა რეგულარულ ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლა ზედმიწევნით იცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ რეგულაციებს განცხადებების/საჩივრების/მიმართვების განხილვისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას. როგორც ცნობილია, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. დისციპლინური კომიტეტიც, მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც მინიმუმამდე ამცირებს მიკერძოების, ცალკეული ინდივიდების მიმართ უსამართლო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევებს. სკოლაში მრჩეველთა საბჭოც ფუნქციონირებს, სადაც სკოლის წარმომადგენლებთან ერთად მანდატურის სამსახურის თანამშრომლები და რესურსცენტრის მიერ განსაზღვული პირები მონაწილეობენ გარკვეული საკითხების განხილვაში. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას (ოქმები, გადაწყვეტილებები), რამაც ნათლად დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული სტრუქტურული რგოლების გავლენა და თანამონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში მაღალია.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს, დიციპლინური კომიტეტის, თვითმმართველობის სხდომის ოქმები;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის მშობელთა სივრცე - კონცეფცია;
- სკოლის ელექტრონული ჟურნალის ვიზუალური დათვალიერება;
- მშობელთა კრების ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლას სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიმდინარე წლის 20 აპრილის წერილის MIA 2 23 01101658 საფუძველზე ეცნობა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში განხილულ იქნა სკოლის მიერ შესათანხმებლად წარმდგენილი საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა. როგორც მიღებული კორესპონდენციიდან ირკვევა, აღნიშნული გეგმა შეესაბამება „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის №452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს და შეთანხმებულ იქნა სამსახურის მიერ".

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, რომელიც არეგულირებს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს, განსაზღვრავს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითად ელემენტებს და განსახორციელებელ ქმედებებს. სკოლაში ექიმის კაბინეტი სრულად არის აღჭურვილი, ექიმის კვალიფიკაციაც შეესაბამება კანონით დადგენილ მოთხოვნებს. **თუმცა, სკოლაში ექიმის არსებული საშტატო ერთეული არ აკმაყოფილებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ. წარმოდგენილ რეგულაციებს. კერძოდ, მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე (860), სკოლას არ ჰყავს მეორე ექიმი.**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო შტაბის ფუნქცია-მოვალეობები.

2021 წლის 15 აპრილს სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის ინსპექტორებმა განახორციელეს სკოლის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება. სკოლის შენობის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილია მიწერილობა, რომელშიც მითითებულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევები და მათი აღმოფხვრის ვადები. სკოლამ შესაბამისი ფინანსური რესურსის მოთხოვნით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს და უახლოეს მომავალში ელოდება ფინანსურ უზრუნველყოფას. **ამ ეტაპზე, დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ სკოლას არ წარმოუდგენია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით (შენობის მდგრადობა), დაწესებულებამ წერილობით მიმართა ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს. როგორც ბიუროს მიმდინარე წლის 9 ივნისის N5003628523 წერილიდან ირკვევა, სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის შენობა ექსპლოატაციისთვის ვარგისია.

სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს.

სკოლის შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, გასასვლელებზე არის სპეციალური მანიშნებლები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 17.07.2023-18.07.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას 2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლაში დასაქმებულია ორი დარაჯი და სამი მანდატური. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია (მათ შორის, შინაგანაწესი) თავისი შინაარსით, მოიცავს წესრიგის დაცვის გაწერილ მექანიზმებს, რომლებიც საჯაროა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შედგენილი აქვს პედაგოგების მორიგეობის სიაც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის შენობაში წარმოდგენილია სსიპ მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის თანამშრომელი, რომელიც გარდა მიმდინარე შემთხვევების მართვისა, უზრუნველყოფს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც დადებითად აისახება მოსწავლეების და სკოლაში დასაქმებული სხვა თანამშრომლების ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე. სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს სოციალურ მუშაკთან, ერთობლივად გეგმავს ღონისძიებებს, სახავს პრობლემების გადაჭრის გზებს და ა.შ.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლეთა კვების ბლოკის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებაზე ზედამხედველი პირები, ხოლო 2020 წლის 4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სექტემბრის N2-144 ბრძანებით, განსაზღვრულია სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის ექიმის ფუნქციებიც ითვალისწინებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მონიტორინგს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი, სახელწოდებით - ,,სსიპ - ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“. ასევე, ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას კანონის შესაბამისად. მშობელსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების მე-4 მუხლი მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების, ასევე, ვიზიტორების შესახებ (სკოლის შესასვლელში ხორციელდება ვიზიტორების მონაცემების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალში). როგორც უკვე აღინიშნა, დაწესებულებას აქვს შემუშავებული წესი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესს და მონიტორინგის მექანიზმებს, შესაბამისად, პროცესები ორგანიზებულია. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ახორციელებს სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამისობის დადგენას მოქმედ კანონმდებლობასთან.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

7. დაწესებულება ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას. კერძოდ, სკოლაში რეგულარულად ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები, სადაც გარკვეული სიხშირით განიხილება უსაფრთხოების მექანიზმები. სკოლაში დამკვიდრებული ეფექტური ანგარიშგების სისტემაც უზუნველყოფს უსაფრთოების პროცესების გაუმჯობესების ტენდენციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგანგებო სიტუაციებში მართვის გეგმა, შეთანხმებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ (შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ);
- დასკვნა სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლის შესახებ (შენობის მდგრადობა);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების (გამოკვლევის) საფუძველზე შედგენილი მიწერილობა;
- საევაკუაციო გეგმა;
- ბრძანება მოსწავლეთა კვების ბლოკის სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასა და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებაზე ზედამხედველი პირის და სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი შესახებ.
- ექიმის ხელშეკრულება;
- სსიპ - ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
- მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულება;

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლის შენობა 3 (სამი) სართულიანია. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სკოლის შენობა განთავსებულია 2650.00 კვ.მ ფართობის არასასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობის საერთო ფართი - 3219 კვ. მ -ია (ნაგებობა N1). სკოლის ეზოში განთავსებულია საქვაბეც (ნაგებობა N2). სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციის შორისაა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ შედგენილი საკადასტრო გეგმა. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია №01.16.01.014.021. სკოლის შენობა დაწესებულებას გადმოცემული აქვს სარგებლობის უფლებით (მესაკუთრე - სახელმწიფო).

სკოლაში სულ 26 საკლასო ოთახია, რომელთაგანაც ყველას აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარია განთავსებული. სკოლის შენობაში ვხვდებით შიდა სპორტულ დარბაზს, ბიბლიოთეკას, ლაბორატორიებს (საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული), ექიმის კაბინეტს, ადმინისტრაციის კაბინეტს და სამასწავლებლოს, მანდატურების და სოციალური მუშაკისათვის განკუთვნილ ოთახებს, რესურსოთახს და სხვა ძირითად და დამხმარე სივრცეებს. ყველა სართულებზე განთავსებულია სველი წერტილები. შენობას შესასვლელში აქვს პანდუსი უკანა ეზოს მხრიდან.

სკოლის შიდა სპორტულ დარბაზში არის ერთი გასახდელი. ინდიკატორი არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი ორ ცვლაში ხორციელდება. ამ დროის განმავლობაში, მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლობ ბიბლიოთეკით, რომელშიც სამკითხველოც არის მოწყობილი, კომპიუტერული ლაბორატორიით, სპორტული დარბაზით. სკოლის სააქტო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარბაზიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის - აქ მათი მონაწილეობით ხშირად იმართება სხვადასხვა შინაარსის აქტივობები და ღონისძიებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის სრულად ადაპტირებული სსსმ მოსწავლეებისათვის.** კერძოდ, სკოლის შესასვლელში არის პანდუსი (უკანა ეზოს მხრიდან), პირველ სართულზეა ორი ადაპტირებული სველი წერტილი. თუმცა, **ეტლით მოსარგებლე სსსმ მოსწავლეებისათვის არ არის ხელმისაწვდომი სკოლის ყველა კაბინეტი, კერძოდ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, სპორტული დარბაზი.** სკოლას აქვს რესურსოთახი, სადაც ორ ცვლაში მუშაობენ სპეციალური პედაგოგები. ექსპერტებმა დაათვალიერეს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსები, გაესაუბრნენ სპეც. პედაგოგს და დეტალურად გაეცნენ მის საქმიანობას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.5.1.3. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 18.07.2023-18.07.2024. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

4. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლა არაფორმალური განათლების მიმართულებით მრავალ აქტივობას სთავაზობს მოსწავლეებს და ამისთვის იყენებს სკოლის სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს, სკოლის ეზოს, საკლასო ოთახებს და კაბინეტებს. მათი ნაწილი ინიცირებულია უშუალოდ მოსწავლეთა ჩართულობით. ამ გზით, სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას და ამავდროულად, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულ გამოცდილებას სძენს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლას შერჩეული აქვს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. გარდა ამისა, ბიბილიოთეკაშია მხატვრული და სამეცნიერო ლიტერატურა. სკოლა აქტიურად იყენებს ელექტრონულ რესურსცებსაც.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის აზომვითი ნახაზი;
- შენობის ვიზუალური დათვალიერება;
- საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (მერხები, დაფები, სახელმძღვანელოები);
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქტიურად იყენებს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიებს და შესაბამისი ინფრასტრუქტურაც ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის. სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. სკოლის ბიბლიოთეკაშიც მოსწავლეებს და პედაგოგებს შეუძლიათ სასწავლო მიზნებისთვის გამოიყენონ იქ არსებული კომპიუტერული ტექნიკა. სკოლას 77 კომპიუტერი (პერსონალური და პორტატული), 4 პროექტორი, 1 - ციფრული ფოტოაპარატით და 5 ცალი მრავალფუნქციური პრინტერი აქვს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
2. კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზღვრული კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ფუნქციაა შეადგინოს საგაკვეთილო პროცესში ტექნიკის გამოყენების განრიგი და აკონტროლოს ტექნიკის დადგენილი განრიგით გამოყენება. კომპიუტერული ტექნიკის ლაბორატორიიდან გატანა აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში.

   სკოლის ბიბლიოთეკის დებულება განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის დროს და იგი, მთელი სასწავლო დღის განმავლობაში ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის (09:00 -18:00 საათი). წიგნები აღრიცხულია სპეციალურ ფორმაში და დამუშავებულია შესაბამისი წესით.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბრძანება №2-209, სსიპ - ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლაში კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიიდან პერსონალური კომპიუტერების გატანა/გამოყენების აღრიცხვის ჟურნალი;ზუალური დათვალიერება;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიერ წარმოებულ სარეგისტრაციო ჟურნალებსაც, კერძოდ, ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალს, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალს. სკოლას ბრძანებით ჰყავს განსაზრვრული სკოლის არქივზე პასუხისმგებელი პირი. სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლას ბრძანებით დამტკიცებული აქვს სატიტულო ბლანკის ფორმა, რომელიც გაგზავნილია სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (EFLOW) საშუალებით. გარდა ამისა, სკოლას აქვს ოფიციალური ელექტონული ფოსტა: tbilisi29@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool). სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ვიზიტის მიმდინარეობისას, ექსპერტები გაეცნენ სკოლის პროფილს ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. როგორც გაირკვა, სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე. სრულყოფილია ინფორმაცია მასწავლებლების შესახებაც და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ატვირთულია შესაბამისი მტკიცებულებები. სკოლის მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა, ასევე ხელმისაწვდომია სკოლის პროფილზე.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. როგორც უკვე აღინიშნა, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას. იგი ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე, მიმართავს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. სკოლაში შიდა დოკუმენტბრუნვაც საკმაოდ ეფექტურად ხორციელდება - სამსახურებრივი ბარათები, ანგარიშგებები, მიმართვები - სკოლის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 მარტის №2-46 ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ “;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი);
- 3.1. სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2017 წლის 14 თებერვლის №2-29 ბრძანება „არქივზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ “;
- Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სსიპ ქალაქ თბილისის N29 საჯარო სკოლას არ აქვს ვებ. გვერდი.** აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებამ წერილობით მიმართა სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას. როგორც ირკვევა, ავტორიზაციის მიზნებისთვის მიმდინარეობს სკოლებისათვის ვებ. გვერდის შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნება დაწესებულების შესახებ ინფორმაციის განთავსება. პორტალის გამოყენების შესახებ ინსტრუქციების გაცემა იგეგმება 30 ივნისიდან.

სკოლა აქტიურად იყენებს მშობლებთან კომუნიკაციისას ელექტრონულ ჟურნალს. საკმაოდ აქტიურია სკოლა სოციალურ ქსელში, გარდა სკოლის ოფიციალური გვერდისა, სოციალურ ქსელში შექმნილია მიზნობრივი ჯგუფები.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1. ინდიკატორთან მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 17.07.2023-15.09.2023. შესაბამისად, ინდიკატორი რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას და ამისთვის, ამ ეტაპზე იყენებს სოციალურ ქსელს და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებს.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლა აქტიურად იყენებს ტექნოლოგიებს სასკოლო საზოგადოების აზრის/შეხედულებების გამოსაკვლევად. ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაეცნენ კითხვარების ნიმუშებს, რომლითაც ხორციელდებოდა გამოკითხვა. შემდგომი ეტაპია - კითხვარების დამუშავება და ტენდენციების გამოკვეთა, რის საფუძველზე ხორციელდება შესაბამისი ინტერვენციები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. როგორც უკვე აღინიშნა, ამჟამად სკოლას არ აქვს ვებ. გვერდი, თუმცა, იგეგმება პორტალის შექმნა, სადაც განთავსდება სრული ინფორმაცია სკოლის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სკოლას შედგენილი და დამტკიცებული აქვს ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევის პროცედურები, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები და ა.შ. რომლებიც ამ ეტაპზე განთავსებულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ. გვერდის მოთხოვნის შესახებ კორესპონდენცია სსიპ განათლების საინფორმაციო სისტემას, შესაბამისი პასუხით;
- სკოლის სოციალური გვერდის ვიზუალური დათვალიერება;
- სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლას ურიცხავს ექიმის თანამდებობრივ სარგოს, სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს, მასწავლებელთა დანამატს. სკოლას ეკონომიკური საქმიანობიდანაც აქვს გარკვეული შემოსავალი. თანხის განკარგვა მიზნობრივია და სრულად ხმარდება სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარებას, სწავლა-სწავლების პროცესს და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობებს/ღონისძიებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის სისტემა. კერძოდ, სკოლის შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. შესყიდვების საფუძველს წარმოადგენს სკოლის მატერიალურ ტექნიკური კოორდინატორის მიმართვა, რომელსაც კათედრები წერილობით აწვდიან ინფორმაციას მათთვის საჭირო ინვენტარის თაობაზე. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 30.12. № 32 ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 18.11. №-2-284 ბრძანება - „სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 09.12.N31ოქმი ფინანსური საქმიანობის ანგარიში;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისა და ბუღალტრის სამსახურეობრივი ბარათები სკოლის საჭიროებების დადგენის.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს შინაგანაწესი შემუშავებული და შეთანხმებული სასკოლო საზოგადოებასთან და დამტკიცებული სამეურვეო საბჭოს მიერ, რომლის დაცვის და აღსრულების უზრუნველსაყოფად იგი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს დარაჯი, მანდატური, მორიგე მასწავლებლები. მორიგე მასწავლებელთა მუშაობის განრიგი შედგენილია და დამტკიცებულია სკოლის მიერ. ასევე, აღსანიშნავია რომ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური საჭიროებისას დახმარების აღმოჩენის მიზნით სკოლას ჰყავს სოციალური მუშაკი, რომელიც არის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენელი. სკოლაში შემუშავებულია ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციები, არეგულირებს ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს, ასევე განსაზღვრავს საქართველოში ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) კოორდინირებული და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებაში სკოლის მონაწილეობის წესს. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლის შინაგანაწესი, რეფერირების წესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, მორიგეობის განრიგი, ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები, გასაჩივრების წესი და სხვადასხვა შიდა რეგულაციები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი ორივე მხარის უფლება-მოვალეობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- მორიგეობის განრიგი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2021 წლის 14 სექტემბრის №2-137 ბრძანება „უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2018 წლის 01.05. №2-63 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესების დამტკიცების თაობაზე“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის ექიმის შრომითი ხელშეკრულება, განათლება და კვალიფიკაცია;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მობილობა რეგულირდება კანონმდებლობით, კერძოდ, ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად. სკოლამ ვიზიტის დროს დამატებით წარმოადგინა ბრძანებით გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის წესები, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესები. მოწესრიგებული აქვთ მოსწავლეთა პირადი საქმეები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სკოლა ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურებას ცეკვის წრის სახით. წრის მომსახურების პროგრამა მოცემულია სასკოლ სასწავლო გეგმაში. სასკოლო სასწავლო გეგმა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის. კერძოდ, გადაგზავნილია კლასის ხელმძღვანელებისათვის მშობელთა და მოსწავლეთა გაზიარების მიზნით, რომლებიც თავის მხრივ აცნობენ მათ, რასაც ადასტურებს მშობელთა კრების ოქმები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია. აღნიშნულ გვერდზე ინფორმაცია არის ყოველდღიურად განახლებადი და ასახავს სკოლის საქმიანობას, აქტივობებს და ემსახურება ინფორმირებულობას. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, მასწავლებლებსა და სოციალურ მუშაკებს შექმნილი აქვთ მშობელთა სივრცე, სადაც ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმირება. მომავალ წლებში სკოლა გეგმავს კითხვარების შემუშავებას სასურველი თემების განხილვის მიზნით, რომელიც მოკლევადიანი პერსპექტივით იქნება გათვალისწინებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 23.02. №2-32 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლში 2023-2024 სასწავლო წელს პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 13.02. №2.23 ბრძანება „სტატუსის შეჩერება“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 20.06. №2-93 ბრძანება „საფეხურის დაძლევა“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 01.03. №2-35 ბრძანება „მობილობა“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 09.03. №2-39 ბრძანება „ჩარიცხვა“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის20.06. №2.93 ბრძანება „საბაზო საფეხურის დაძლევა“
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 24 აპრილის №2-77 ბრძანება „საშუალო საფეხურის დაძლევა“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 28.09 №2-215 ბრძანება „წრის შექმნის ბრძანება“;
- მშობლის განცხადება წრის ჯგუფში ჩარიცხვის მოთხოვნის შესახებ;
- შეთანხმება წრის ჯგუფიდან ამორიცხვის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მოსწავლის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს სასკოლო გარემოში ადაპტირებასა და აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში. მოსწავლეთა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის ჯგუფის მიზანია მოსწავლეთა კეთილდღეობაზე ზრუნვა. ამ პროცესებში აქტიურად არიან ჩართულნი კლასის დამრიგებლები, დირექტორის მოადგილე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამასთანავე მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება კონკურსის გამოცხადების გზით ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის დასაქმება. სკოლა, ასევე უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ დასკვნის მომზადებას. მშობლის მიერ აღიარების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ, მოსწავლის და მშობლის სურვილის გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრაციას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლას აქვს პრაქტიკა, აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, მოსწავლეს რომელსაც ესაჭიროება დახმარება, სკოლა უდგენს სპეციალურ ცხრილს სადაც შესაბამისი მასწავლებელი უწევს კონსულტირებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. ექსტერნატის გამოცდების, ოლიმპიადების, სემესტრული გამოცდების ჩატარების წინ ყველა მოსწავლეს წინასწარ შექმნილი გრაფიკის საფუძველზე უტარდებათ კონსულტაციები. მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს რემედიაციას საჭიროებისამებრ, არასაგაკვეთილო დროს. ადმინისტრაცია და არსებული ადამიანური რესურსი მუდმივად ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებისთვის. ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მოსწავლეთა თვითთმართველობასთან. საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სააქტო დარბაზს, სპორტულ დარბაზს. საჭიროების შემთხვევაში სკოლა სთავაზობს მოსწავლესა და მის მშობელს შინ სწავლების მომსახურებას, რომელიც გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო დაგეგმვასა და განხორციელებაში. აქტიურია და წარმატებით მუშაობს სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბი-„XXI საუკუნის თაობა“. **სკოლაში** მიმდინარე პროცესები ხელს უწყობს მოსწავლეებს გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გადალახონ სიძნელეები, აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ გადაწყვეტილებაზე, შეასრულონ დაკისრებული ვალდებულებები. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივითა და სასკოლო კლუბების ხელშეწყობით არაერთი ღონისძიება ხორციელდება. მოსწავლეების არაფორმალური აქტივობები საკმაოდ ხშირია. მათი მხარდაჭერა ხორციელდება სხვადასხვა ფორმითა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით. სკოლა ჩართულია სამოქალაქო განათლების პროგრამის განვითარებაში, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გაიღრმავონ ცოდნა და უნარები, რაც მოეთხოვება დემოკრატიული, სამოქალაქო თვითშეგნების მქონე საზოგადოებას. 2022 წლის დეკემბრის თვეში სკოლის სამოქალაქო კლუბმა, ‚XXI საუკუნის თაობა''-მ, რომელიც აქტიურად ფუნქციონირებს 2016 წლიდან, მონაწილეობა „მიიღო სკოლა ბიზნეს ფორუმში'', სადაც მოსწავლეებმა წარმოაჩინეს სიღრმისეული გააზრების უნარი ბიზნესწინადადების მიწოდების კუთხით, და აქტიურად აწარმოეს მოლაპარაკებები, როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენებზე, რითაც ფართო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აუდიტორიის მხრიდან დიდი მოწონება დაიმსახურეს. კლუბის პრიორიტეტულ მიმართულებას, ადამიანის უფლებებთან ერთად, წარმოადგენს „ეკონომიკა მეწარმეობა", რომლის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა არაერთი ლექცია, სემინარი თუ ტრენინგი. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად უჭერს მხარს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ განსახორციელებელ ინიციატივებს და თანამშრომლობს მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად, როგორც შიდა სასკოლო ასევე არაფორმალურ გარემოში დაგეგმილ პროექტებსა თუ ინიციატივებში. ამ მხრივ აღსანიშნავია მოსწავლეთა თვითმმართველობის კლუბის და სასკოლო საზოგადოების მიერ ერთობლივი პროექტი „ბავშვები და კონსტიტუცია". **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. ადმინისტრაციის, კლასის დამრიგებლებისა და სოციალური მუშაკის ჩართულობით ჩატარდა საჭიროებათა კვლევა, რომლის მიზანი იყო სასკოლო საზოგადოების აზრი სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი. კვლევაში მონაწილეობას იღებდნენ სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები. კვლევის დასრულების შემდეგ მომზადდა ანალიზი, რომლის საფუძველზეც სკოლაში გაძლიერდა არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა, გაიზარდა ინფორმირებულობა, რაც გამოიხატა სოციალური გვერდის გააქტიურებაში და ყოველდღიური ინფორმაციის მიწოდებაში. სკოლაში მშობლებისთვის დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგები ისეთ თემატიკაზე, როგორიცაა: ეფექტური კომუნიკაცია, სტრესის მართვა, ბავშვთა განვითარების საფეხურები, რთული ქცევა, რაც წარმატებით უზრუნველყო სკოლის სოციალურმა მუშაკმა დირექციისა და დამრიგებლების დახმარებით. შეხვედრები იყო საკმაოდ საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის ფსიქო-ემოციური ჯგუფის მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 12.09. №2-188 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ";

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ვიზუალური დათვალიერება;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლა საჭიროებათა კვლევა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის სოციალური სოციალური გვერდი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გაფორმებული აქვს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან მემორანდუმი. ამ ეტაპზე, სკოლა არ ახორციელებს პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამას. თუმცა, არაფორმალური განათლების ფარგლებში, სკოლაში ხდება სხვადასხვა პროფესიაში წარმატებული ადამიანების მოწვევა სასკოლო პროექტის „მე ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში. მოსწავლეების სურვილისამებრ შეხვედრა შედგა ეკონომისტთან, ფინანსისტთან, ფსიქოლოგთან, ექიმ-ენდოკრინოლოგთან, თავდაცვის აკადამიის წარმომადგენელთან, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორთან, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ა.შ.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას - ვიზიტების შემდეგ ხშირად მიუღიათ მოსწავლეებს გადაწყვეტილება და ჩამოყალიბებულან მომავალი პროფესიის არჩევანში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლაში ხორციელდება შეხვედრები პროექტის „მე ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში, სადაც წარმატებული ადამიანები ხვდებიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, აცნობენ ამა თუ იმ პროფესიას და ეხმარებიან კარიერის დაგეგმვაში. ხშირ შემთხვევაში მათთან შეხვედრამდე მოსწავლეებს არ აქვთ ნაფიქრი მომავალ პროფესიაზე, სწორედ ამ შეხვედრების შემდგომ ისინი გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებენ. სასურველია შეხვედრები კიდევ უფრო გახშირდეს და გახდეს რეგულარული, როგორც სასკოლო სივრცეში, ასევე, დაიგეგმოს გასვლითი აქტივობები კონკრეტულ სასწავლებლებში. სკოლას აქვს გამოცდილება წარმატებული კურსდამთავრებულების სტუმრობის, რაც მომავალში უფრო ინტენსიური გახდება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაფორმებული მემორანდუმი სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის;
- გაფორმებული მემორანდუმი სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლასა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს შორის;
- გაფორმებული მემორანდუმი სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლასა და კავკასიის უნივერსიტეტს შორის;
- გაფორმებული მემორანდუმი სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლასა და პროფესიულ კოლეჯთან „მერმისი“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის სოციალური ქსელი ფეისბუქ გვერდი;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.სკოლას ამჟამად ჰყავს 11 სსსმ მოსწავლე. თითოეული მოსწავლისთვის სკოლას შექმნილი ჰყავს ისგ ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია თითოეული საგნის მასწავლებელი, ბავშვის მშობელი და სპეციალური პედაგოგი. სკოლას ჰყავს ორი სპეციალური პედაგოგი, რომლებიც ინდივიდუალურად მუშაობენ, გრაფიკის მიხედვით თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარებიან მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. პირველ სართულზე განთავსებულია სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული ორი სველი წერტილი. სკოლაში შექმნილია სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, ისგ-სამუშაო ჯგუფი ინდივიდუალური გეგმების შემუშავების მიზნით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო. სსსმ მოსწავლეების განვითარებაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე ზრუნავენ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებლები, პერსონალური ასისტენტი, დირექცია, მშობელი, მოსწავლეები. ტარდება სხვადასხვა ტიპის აქტივობები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის №2-204 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 15.09 №2-198 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 26.11 №2-195 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის 2022 წლის 21.09 №1 ოქმი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის გრაფიკი;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის რესურსოთახის ვიზუალური დათვალიერება;

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

1. სკოლას აქვს გამოცდილება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე განეხორციელებინა საქმიანობა, კერძოდ იჯარით გაცემული იყო ფართი კვების ობიექტის საქმიანობის მიზნით, რომელიც პანდემიის შემდეგ აღარ ფუქნქციონირებს. მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს კვების ობიექტის საქმიანობის მიზნით სკოლის ფართის იჯარის სახით გაცემას, ასევე გეგმავს სხვა ტიპის სერვისების შეთავაზებას რაც აუცილებლად იქნება შერჩეული მშობელთა ინტერესებიდან გამომდინარე და განხორციელდება კანონის ფარგლებში. სამუშაო ჯგუფის მიერ შეიქმნება კითხვარები, რომლის საფუძველზე დადგინდება არასავალდებულო ხასიათის მომსახურების ჩამონათვალი და დაიგეგმება მისი ფუნქციონირებისათვის განსახორციელებელი გზები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობას ცეკვის ფასიანი წრის სახით. წრის მომსახურების პროგრამა მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც, არის ნებაყოფლობითი, სკოლას განცხადებით მიმართავს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ჩარიცხვასთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებით, რომელთანაც ფორმდება ხელშეკრულება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთა. მომავალი წლიდან იგეგმება ამ მომსახურების გაფართოება საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. ყველანაირი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. იგი ხორციელდება კვლევის შედეგების გათვალისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის №29 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 28.09. №2-215 ბრძანება „წრის შექმნის ბრძანება“ ;
- სკოლასა და მშობელს შორის დასადები წრის ხელშეკრულება;

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას -** მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლას შემუშავებული აქვს დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინეულია მოსწავლის ინტერესები წინარე ცოდნა-გამოცდილებაზე დაფუძნებით. პედაგოგები აცნობიერებენ, რომ ამ პროცესში უნდა ჩაერთონ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები და ერთობლივად განსაზღვრონ სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. კათედრა საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად კურიკულუმის სხვა კომპონენტებთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესის თემატურად დაგეგმვის პრინციპს. მათი აზრით, ამ პრინციპის გამოყენება იწვევს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებასა და სასწავლო პროცესში მათ აქტიურად ჩართვას.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები - დაწყებითი საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ყველა სტრუქტურული ერთეულის (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, დირექტორი, დირექცია) შეხედულებები, ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ინტერვიურებისას გამოჩნდა, რომ სკოლოს ადმინისტრაცია ახალისებს ახალ იდეებს, რომლებიც ეყრდნობა მოსწავლეთა და მასწავლებელთა აქტივობების ანალიზს. ამ აქტივობების რეფლექსია, ერთობლივი განხილვა-ანალიზი, მშობელთათვის მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ერთობლიობაში განაპირობებს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გამოკვეთასა და მათ შემლებისდაგვარად ასახვას სასკოლო კურიკულუმში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის დაწყებითი კლასის ყველა საგნის მასწავლებელი აქტიურად არის ჩართული საგნობრივი კურიკულუმების დამუშავების პროცესში. ამ ეტაპისთვის, შემუშავდა კურიკულუმის პირველადი ვერსიები, რომლის დახვეწაზე კათედრის წევრები იმუშავებენ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად. კათედრის პედაგოგები იმსჯელებენ, თუ რა გამოწვევები არსებობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მხრივ და შეიმუშავებენ მომავლის ხედვას. კურიკულუმის განხორიციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესები და რაც მთავარია, მათი ფუნქციები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ -- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მექანიზმი, რომლითაც ხდება კურიკულუმის შემუშავება და შემდგომ, მისი განხორციელება, საშუალებას იძლევა კურიკულუმის დეტალები გაზიარდეს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ. კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრებზე, მასწავლებლებს შორის, ასევე ელექტრონულ პლატფორმებზე და სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში, სადაც სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია გაეცნოს. მაგალითად, ტექნოლოგიების პედაგოგები, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, კათედრაზე გაეცნენ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ მოწოდებულ კონცეპტუალურ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეთოდოლოგიურ კურიკულუმის ჩარჩოს. აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩო განხილული იქნა კათედრაზე, რომლის მიხედვითაც შემუშავდა კომპიუტერული ტექნოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები, ინტერვიუდან გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმი განიხილეს კათედრებზე და საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოყვეს და გაითვალისწინეს სხვა კათედრებთან ინტეგრირებული თემები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- წარმოდგენილი: I-VI კლასის კურიკულუმები;
- ფესტივალის, სასკოლო პროექტებში და შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალა.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას** - წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები და სასწავლო პრინციპები. დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმს, მის სტრუქტურას განიხილავენ როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომლის გაცნობიერებასა და სასწავლო პროცესში დასანერგად მათ ეხმარებათ საფეხურის შედეგების დაკავშირება თითოეული გრძელვადიანი სამიზნე ცნების ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან. თავიანთი ხედვის დასადასტურებლად ინტერვიურებისას პედაგოგებმა წარმოადგინეს კომპლექსური და კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალება. აღნიშნეს, რომ ისინი აკვირდებიან მოსწავლეთა ნამუშევრებს მთელი წლის განმავლობაში და აანალიზებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს საფეხურის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)** - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შესწავლისას მკაფიოდ იკვეთება, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ კურიკულუმში გააერთიანონ არა მხოლოდ შუალედური მიზნის დოკუმენტები, რაც კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას უზრუნველყოფს, არამედ მათ აქვთ მზაობა კურიკულუმი გახადონ მოქნილი და ადვილად ადაპტირებადი სხვადასხვა ტიპის პროექტების, კონკურსების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ელემენტების დამატებით. კომპლექსური დავალებების პირობები იმგვარადაა ფორმულირებული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ ის უზრუნველყოფს მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობა და კომუნიკაცია. როგორც გასაუბრებიდან გაირკვა, პედაგოგები ერთობლივად თანამშრომლობენ, რათა მოსწავლეებში განავითარონ გლობალურ-ფუნქციური უნარები, საგნების ინტეგრირებით, სამოქალაქო განათლების თემების საკლაოს ოთახში გადატანით და სხვა. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს** - დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და საეტაპო აქტივობებში. ეს მიდგომა ასახულია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში. პედაგოგებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე ხდება დიფერენცირების გათვალისწინება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს** - დაწყებით საფეხურზე განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება V კლასის მეორე სემესტრიდან იწყება. პედაგოგები იყენებენ როგორც ანალიტიკურ, ასევე ჰოლისტურ შეფასების რუბრიკებს. მასწავლებლები ცდილობენ სასწავლო პროცესის თანმდევი გახადონ ეფექტური უკუკავშირი და აქტიურად გამოიყენონ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში (დაწყებითი საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კათედრის საბოლოო ოქმი), ასევე, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს-სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. კრიტერიუმები და მოსწავლის მოლოდინები მთლიანად მორგებულია ცნებებსა და ქვეცნებებს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი** - დაგეგმვის პროცესში დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას. კერძოდ, სამუშაო შეხვედრებზე ისინი მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებლების რეფლექსიებს. რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ? ერთად აანალიზებენ და გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმს. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტშიც აღწერილია, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა აპირებს სასკოლო საზოგადოებასთან კონსულტაციებით წინა წლის წარმატებული გამოცდილების გაზიარებას სასკოლო საზოგადოების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ისგ ოქმები.
- სამოქმედო გეგმა;

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას** - პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართვა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, ბავშვებს აქვთ ნებისმიერი, განსხვავებული აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა.

კომპლექსური დავალებების პირობა უმეტესად იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესისი არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრდება და სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნა (მაგ. პოსტერი, ინტერვიუ, პრეზენტაცია, დიალოგი და სხვა). პედაგოგებთან ინტერვიუირების პროცესში გაირკვა, რომ მათთვის უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობა, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კურიკულუმი. თუმცა, იმისათვის რომ კურიკულუმი გახდეს უფრო ,,მდიდარი'', საჭიროა კათედრამ მასში ჩააშენოს პროექტული ტიპის დავალებები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ნიმუშები და სხვა, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ითანამშრომლონ თანატოლებთან, თანამშრომლობის უნარების განვითარება კი ხელს უწყობს მოსწავლეებს თავად გამოიჩინონ ინიციატივა და გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები, ვინაიდან ინიციატივების წახალისება გაზრდის მათ მოტივაციას. თავისთავად კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს ისეთი აქტივობების განხორციელებას, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს, შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კათედრის მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებას მისცემს მოსწავლეს იყოს პროცესის აქტიური მონაწილე და ცენტრალური ფიგურა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით** - ცოდნის კონსტრუირებისთვის მნიშვნელოვანია თემატურად სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი. თემა ეს არის მოსწავლისათვის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებას, დამუშავებასა და გააზრებაში. ამასთანავე, თემა უნდა წარმოადგენდეს მოსწავლისათვის აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლიდან, ასევე გასაუბრების დროს გამოიკვათა, რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. ასევე, შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია კონტექსტ მაგალითითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად, კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლავა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას და ამგვარი ტიპის დავალებები მრავლადაა წარმოდგენილი მომავალი წლის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე** - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. კერძოდ, აქცენტები კეთდება ისეთ დავალებებზე, რაც მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა, საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა. მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოთხოვნების მიღება, მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) - სკოლის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური ბუნების დავალებებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას. გასაუბრებისას განხილული რამდენიმე აქტივობის ანალიზის დროსაც გამოჩნდა, რომ პედაგოგები შეძლებისდაგვარად იაზრებენ სასწავლო გარემოში განხორციელებული აქტივობების დანიშნულებას, მათ ფუნქციას ცოდნის ამა თუ იმ კატეგორიის ან სამივე კატეგორიის გასააქტიურებლად. სასკოლო სასწავლი გეგმის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში პროცედურული და პირობისეუილი ცოდნის განვითარებაზე, ასევე კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტიდან ჩანს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა იმგვარადაა შედგენილი, რომ ის თავის თავში მოიცავს ანალიზს, შედარებას, შეფასებას და სხვა მაღალ სააზროვნო უნარებს. გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დეკლარატიული ცოდნას, მაგალითად ფაქტების, წესების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგადად, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება** - მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად დაამუშაონ და გარდაქმნან ცოდნად. ხდება ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირება, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ამასთანავე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგები მოსწავლეებს ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, რათა გაიზარდოს მათი გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):საგნობრივი კურიკულუმი
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით** – სკოლას საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება. თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები. იქ, სადაც კომპლექსური დავალების იდეას განსაზღვრავს სკოლა, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. მოწოდებული დოკუმენტაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ მკაფიოდ იქნას განხულული თუ როგორ ითვალიწინებს სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას** - სასკოლო სასწავლო გეგმიდან და წარმოდგენილი კურიკულუმიდან ირკვევა, რომ კათედრა ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს მოსწავლის მხრიდან რაიმე ტიპის პროდუქტის შექმნას. ამ პროდუქტზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები. სამომავლოდაც, იგეგმება პროექტების და კომპლექსური დავალებების განხორციელება, რომელიც ხელს პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ამ ინდიკატორში სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე** – პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები ახორციელებენ მოსწავლეთა დაკვირვებას, დიაგნოსტიკური წერის ანალიზს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ მომდევნო სასწავლო წელს სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოიყენებს ორი ტიპის შეფასებას: განმსაზღვრელს და განმავითარებელს. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. ვინაიდან, შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნის შეფასებას, არამედ ფასდება მისი ქცევა, შეხედულებები, დამოკიდებულებები, წარმოდგენები, ღირებულებები და ზოგადად პიროვნება, რაც მრავალმხრივი პროცესია. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პროცესი და ძალიან მნიშნელოვანია წარმატებული მოაქლაქის აღსაზრდელად. სკოლა ითვალიწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიერ შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, რომელიც აუცილებელ კომპონენტებად მიიჩნევს დიფერენცირებას და მოსწავლის დიაგნოსტირებას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** - სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი შეფასების პრინციპებს, მეთოდებს მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელი კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას. მომდევნო სასწავლო წელს სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები იძლევა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი შეფასების სისტემის არსებობის შესაძლებლობას. მოსწავლეებმა იციან კრიტერიუმები, რისი მიხედვითაც უნდა შეფასდენ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი** - ამ ეტაპზე, სკოლაში შეფასებების ვერიფიკაცია ხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ. თუმცა, 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის შედგენა. ვერიფიკაცია დაფუძნებული იქნება შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაზე, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით** - პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით ხდება მათი აღრიცხვა და შენახვა, ამასთანავე, ხდება ინფორმაციის ასახვა მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დაარქივებულია და ინახება: ანბანური წიგნი, ატესტატების წიგნი, ბრძანების წიგნი, პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები, შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი და სხვ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ვერიფიკაციის შემუშავების მექანიზმი;
- თვითშეფასების განაცხადი;
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო -** სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც დასტურდება კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში ურთიერთდასწრებებზე მიცემული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობით, სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობით. პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად -** სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებული არიან მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ მიერ შექმნილი კურიკულუმები ამაზე მეტყველებს. შერჩეული თემები, საკითხები სრულად შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში, ასევე , ეხმარებიან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი წინააღმდეგობების დაძლევაში. კათედრა აცნობიერებს კურიკულუმის სტრუქტურული ერთეულების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას. ისინი თვლიან, რომ სასაწავლო პროცესის სწორად დაგეგმვა გააძლიერებს მოსწავლეთა მოტივაციას. აღნიშნავენ, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად და დიდი ინტერესით ასრულებენ ისეთ დავალებებს, რომლებიც პირდაპირპროპრციულია მათ ცხოვრებისეული გამოცდილებისა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას** - სკოლის მთავარი პრიორიტეტია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, რაც დასტურდება კურიკულუმის ჩარჩოს შექნის პროცესში პედაგოგთა თანამშრომლობით და მხარდაჭერით. კათედრის ფარგლებში, მასწავლებელთა სტანდარტული შეხვედრები და მასზე განხილული საკითხები ფორმდება კათედრის ოქმებით. სამომავლოდ, სკოლა გეგმავს მასწავლებლების, მოსწავლეების და მათი მშობლების ჩართულობით კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებების შექმნას და განხორციელებას. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი სხვადასხვა პერსპექტივიდან ხედავს პროცესებს - განსხვავებულად აფასებენ და მათი გადაჭრის განსხვავებულ გზას ხედავენ. კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ხელს შეუწყობს პედაგოგებს მოსწავლეზე ორინეტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე** - სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები. მასწავლებლებმა დაადასტურეს, რომ დირექცია უზრუნველყოფს უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას. კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან , ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტებში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან შეთავაზებულ აქტივობებში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ი.ს.გ.
- ურთიერთდასწრების დოკუმენტი;
- მასწავლებლის პორტფოლიო.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - სკოლა და სასკოლო თემი გამოხატავენ მზაობას დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის მონიტორინგის მექანიზმები. სკოლაში ამ ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი, სკოლამ წარმოადგინა მეთოდოლოგიის დოკუმენტი. შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. კურიკულუმის მონიტორინგი ამ ეტაპზე ხორციელდება კათედრისა და ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ, მიმდინარე სამუშაო პროცესებზე დაკვირვებით. იგეგმება შეფასების ჯგუფის ფორმირება, რომლის ფუნქცია-მოვალეობაც მონიტორინგის წარმოება იქნება.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას - -მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ურთიერთდასწრების გაკვეთილების შემდეგ მიცემული უკუკავშირებიდან. ასევე მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს,
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარეებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შეფასება და მონიტორინგი პედაგოგთა მხრიდან მოიაზრება, როგორც სასწავლო პროცესში ისე კურიკულუმის დაგეგმვისას წამოჭრილი პრობლემების აღმოჩენისა და მოგვარების ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას** - სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც სამომავლოთ აისახება ცვლილებების სახით. მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას. სკოლის სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტი. მაგალითად, 2023-2024 სასწავლო წელს სადიაგნოსტიკო მონაცემების დამუშავება სახელმწიფო ენის კათედრის გადაწყვეტილებით იგეგმება ორჯერ, სემესტრის ბოლოს VII-IX კლასებში (დეკემბერი, მაისი). 2023-2024 სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიკური საჭიროებების დადგენა იგეგმება თემატური მატრიცისა და პედაგოგიკური პრაქტიკის რეფლექსიის დოკუმენტზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კურიკულუმის ვერიფიკაციის დოკუმენტი
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები;
- წლიური სამოქმედო გეგმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს** - შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასების ეტაპზე სკოლა იყენებს შეფასების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს. გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ კათედრა მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს იყენებს, რომელთავ აქვთ ჰოლისტური ხასიათი. კათედრას გააზრებული აქვს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მშობლებთან და მთლიანად, სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა მოსწავლეთა შეფასების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით** - მესამე თაობის ეროვნული სასწავლ გეგმის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით. შესაბამისად, ხორციელდება შეფასებაც წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკების საშუალებით. მრავალფეროვანი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. სკოლაში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგის მიერ, კათედრასთან თანამშრომლობით, შემუშავებულია შეფასების რუბრიკები, ჩამოყალიბებულია შეფასების კრიტერიუმები. კათედრაზე არჩეულია შეფასების პირველი მოდელი, შესაბამისად, მოსწავლეები ფასდებიან მიმდინარე (საკლასო, საშინაო) და შემაჯამებელი შეფასებებით. შეფასება ხდება სისტემატურად. კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება SOLO ტაქსონომიის მიხედვით, ინდივიდუალურად, მათი ცოდნისა და შესაძლებლობების შესაბამისად. სასწავლო წლის დაწყებამდე მასწავლებლის მიერ შემუშავებული იქნება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები** - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და ინტერვიუირების საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეთა შეფასებას მრავალმხრივად, არა მხოლოდ მათ მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე. მოხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინმება. საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შეფასება განხორციელდება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. ასევე, შეფასების მეთოდად სკოლა შეარჩევს და სამომავლოდ გამოიყენებს ანკეტირებას, გამოკითხვას, ინტერვიუს, ფოკუს-ჯგუფს, თვისებრივ და რაოდენობრივ დაკვირვებას და ა.შ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით** - მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება.მოსწავლეთა შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია, რომ კათედრამ გაითვალისწინოს არა მხოლოდ მოსწავლის ცოდნა, არამედ ამავე მოსწავლის ფუნქციური უნარ-ჩვევები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წლიური სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი - სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. რეკომენდაციების შემუშავება შემდეგ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წელიწადს კურიკულუმის დასახვეწად. პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხარვეზის შემთხვევაში, აძლევენ რეკომენდაციებს, წარმატებული აქტივობების შემთხვევაში, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას, გეგმავენ მომავალ გაკვეთილებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს** - კათედრა გეგმავს მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას გამოცდილების, მონიტორინგის შედეგების და შეფასების შედეგების გათვალისწინებით. მონიტორინგის აქტივობებს აკვირდება და მონიტორინგს უწევს სკოლაში არსებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრაციის წევრები. მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. შემუშავებულია რეკომენდაციები შემდეგი წელიწადის კურიკულუმის დასახვეწად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვერიფიკაციის მიექანიზმი

- მასწავლებლის რეფლექსიები;
- 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.
- კათედრის პედაგოგთა „საგნის ანგარიშის“ ფორმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
  - ☐ მეტწილად შეესაბამება
  - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
  - ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი- **საბაზო საფეხური**

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას** - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა საშუალებას გათვალისწინებულ იქნეს სასკოლო საზოგადოების ინტერესები. იმ პრინციპების ჩამონათვალში, რომელსაც ეყრდნობა კურიკულუმის განვითარება მითითებულია, რომ: ,,,კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს''. იმავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ,, სკოლა კურიკულუმის დაგეგმვის დროს ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის კუთხით, ასევევ მოსწავლეთა შედეგებს და კათედრების მუშაობას კურიკულუმის განხორციელების პროცესში. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით ადმინისტრაცია, კათედრებთან და მოსწავლეთა წარმომადგენელთან ერთად აჯერებს წინა წლის გამოცდილებას და ახდენს ახალი სასწავლი წლის საორიენტაციო დოკუმენტის შექმნას'. 'დოკუმენტი განსაზღვრავს პრინციპებს, რომელიც სრულად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები** - სკოლის თვითშეფასების განაცხადსა და კურიკულუმის მეთოდოლოგიაში იკვეთება, რომ კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებისას ჩართულია ყველა საფეხურის თითოეული პედაგოგი. კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავება ხდება მოსწავლეთა ვერბალური გამოკითხვის საფუძველზე, მათი ინტერესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათვალისწინებით. აღნიშნულს მოწმობს სკოლაში ჩატარებული გამოკითხვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სასკოლო საზოგადაოების წარმომადგენლებმა და დაინტერესებელმა პირებმა. ამის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა და მშობელთა ანკეტირება, კითხვარები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის საბაზო კლასის ყველა საგნის მასწავლებელი აქტიურად არის ჩართული საგნობრივი კურიკულუმების დამუშავების პროცესში. ამ ეტაპისთვის, შემუშავდა კურიკულუმის პირველადი ვერსიები, რომლის დახვეწაზე კათედრის წევრები იმუშავებენ სასკოლო საზოგადოებასთან ერთად. კათედრის პედაგოგები იმსჯელებენ, თუ რა გამოწვევები იარსებებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის მხრივ და შეიმუშავებენ მომავლის ხედვას. შესაბამისად, მათი ჩართულობა ამ ნაწილში იკვეთება, აღნიშნულის გათვლისწინებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მექანიზმი, რომლითაც ხდება კურიკულუმის შემუშავება და შემდგომ მისი განხორციელება, საშუალებას იძლევა კურიკულუმის დეტალები გაზიარდეს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ. კურიკულუმის რევიზიის ეტაპზე, როდესაც ხდება ახალი კურიულუმის შემუშავება, ხდება წინა წლის წარმატებული გამოცდილების გაზიარება, აქ ჩართულია როგორც კათედრა, ასევე დირექცია, განხილვისას ყურადღება მახვილდება მოსწავლეთა მიღწევების ანალიზზე. შესაბამისად, რამდენიმე რგოლის ერთობლივი შეთანმხებით ხდება იდეების გაზიარება. ასევე არსებობს მექანიზმები, რომლითაც შეიძლება მოხდეს ჩარევა, შეცვლა, დაკვირვების შედგომი გადასინჯვა და ა.შ ამავე დოკუმენტით ირკვევა, რომ თემაზე მუშაობის პროცესში მასწავლებელი ინფორმაციას უზიარებს მშობელს და ხდება მიმდინარე პროოცესის შეფასება, ასევე გასაუბრებაზე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მშობელს ეგზავნება ე.წ მშობლის ბარათი, რაც უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- სასკოლო პროექტებში, შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალა.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას -** კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რაც დასტურდება კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, რომელიც კათედრამ შეარჩია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და წარმოადგინა. სკოლაში საგნობრივ კურიკულუმებში შერჩეული თემები წარმოადგენს გამამთლიანებელ კონტექსტს, რომლის ფარგლებშიც ხდება შედეგის გააზრება, რაც კურიკულუმს აახლოებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს მოსწავლეებში ფუნქციური უნარების განვითარებას. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. სასწავლო პროცესი იძლევა შესაძლებლობას მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობისა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)** - კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, სრულყოფილად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საგნების სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, ყველა თემაში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. შერჩეულია კომპლექსური დავალების პირობები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ - კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე** - დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომა აისახება კომპლექსური დავალების პირობასა და საეტაპო აქტივობებში. ეს მიდგომა ასახულია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში. პედაგოგებთან ინტერვიუირებისას დადგინდა, რომ მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე ხდება დიფერენცირების გათვალისწინება. კათედრები ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, ხდება სსსმ მოსწავლეებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა და შემდეგ შეფასება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე - სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში (საბაზო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, კათედრის საბოლოო ოქმი), ასევე, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიან მიზნებს - სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს, კრიტერიუმები და მოსწავლის მოლოდინები მთლიანად მორგებულია ცნებებსა და ქვეცნებებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. როგორც სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს სკოლა უპირატესობას ანიჭებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. პედაგოგებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი** - მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე ირკვევა, რომ რომ სკოლა ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას, წინა სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალების გამოცდილებას ახალი კომპლექსური დავალებების დაგეგმვის დროს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები (2022-2023 წლის სასწავლო გეგმა) და ამ ნიმუშების ინტერვიურებისას წარმოდგენილი რეფლექსია გულისხმობს ამ გამოცდილების ასახვას ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები): საგნობრივი კურიკულუმი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- კათედრის სხდომის ოქმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები, მოსწავლის ნამუშევარი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას** - პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართვა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისთვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ პედაგოგების მიერ მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში, ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. საბაზო საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხორციელდება იმ თემებისა და საკითხების დამუშავებით, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციისა და შემოქმედებითი უნარის გაღვივებასა და განვითარებას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით** - პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე** - კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობა მოითხოვს მოსწავლის მეტაკოგნოციური უნარების განვითარებას, მასწავლებლები ხშირად მიმართავენ სხვადასხვა ტიპის ჩეკლისტებს, მოსწავლეთა თვითრეფლექსიას და სხვა. წარმოდგენილი კურიკულუმით ვადგენთ, რომ კათედრა მუშაობს კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რაც თავის თავში მოიაზრებს სწავლის სწავლას. ასევე, გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა, რომ ისინი იყენებენ მეტაკოგნიციის განსავითარებელ სტრატეგიებს, როგორიცაა ჩეკლისტების შევსება, მოსწავლის ,,მსწავლელის ტიპის'' იდენტიფიცირება (აუდიო, კინესტეტიკი, ვიზუალი და სხვა...) და შემდგომ, უზრუნველყოფენ აღნიშნულის გათვალისწინებას სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) -** პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტიებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს სასკოლო კურიკულუმები. სასწავლო პროცესში მიღებული ცოდნა იძლევა მისი რეალიზების საშუალებას. მოსწავლეებს უმუშავდებათ პრაქტიკულ უნარი, თუ როგორ გამოიყენონ ცოდნა, გადაწყვიტონ ესა თუ ის პრობლემა და მოახდინონ ცოდნის ტრანსფერი. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება - სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, ასევე კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო საგნებში კომპლექსურ დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები, რომელიც მიემართება სასაწვლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებზე.

საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით** - პედაგოგთა მხრიდან სამიზნე ცნებების, თემების, საგნობრივი საკითხების, საკვანძო შეკითხვების ურთიერთკავშირი, უმეტესად გააზრებულია სასწავლო პროცესის კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე აგების ძირითად საგანმანათლებლო საშუალებად. ამ საკითხზე ისაუბრეს პედაგოგებმა და წარმოადგინეს მათ მიერ განხორციელებული დავალებები და გააანალიზეს მოსწავლეთა მიერ განსახორციელებელი ის აქტივობები, რომლებიც მათი აზრით ხელს უწყობს სამიზნე ცნებების გათავისებას.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას** - სასკოლო სასწავლო გეგმიდან და წარმოდგენილი კურიკულუმიდან ირკვევა, რომ კათედრა ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს მოსწავლის მხრიდან რაიმე ტიპის პროდუქტის შექმნას. ამ პროდუქტზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები. სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით კათედრას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაგეგმოს კლასგარეშე აქტივობები არაფორმალურ გარემოში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და სხვა.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე** - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლას სამომავლოდ გააზრებული აქვს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კარგად ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში. საბაზო საფეხურისათვის შემუშავებული შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები მოსწავლეს ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნულის მიღწევას უზრუნველყოფს განმავითარებელი უკუკავშირი. კომენტარით შეფასება მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას დაადგინოს მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და მასწავლებლის მხარდაჭერით მოახდინოს პროგრესი/განვითარება.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი** - სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია, რომ სკოლა სრულად იზიარებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს, მეთოდებს, მოსწავლის შეფასების მიზანს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევის დონეებს და საგნის სემესტრული ქულის შემადგენელ კომპონენტებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, სემესტრულ, წლიური და საფეხურის ქულის გამოანგარიშების წესებს, კლასისა და საფეხურის დაძლევას. მომდევნო სასწავლო წელს სკოლა ირჩევს შეფასების სამ კომპონენტიან სისტემას. კათედრა შეიმუშავებს შეფასების რუბრიკებს სხვადასხვა კომპლექსური ტიპის დავალებების შესაფასებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი** - სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი. ამ ეტაპზე, სკოლაში შეფასებების ვერიფიკაცია ხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ, თუმცა 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შედგენა. ვერიფიკაცია დაფუძნებილი იქნება შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაზე, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით** - შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც ავტომატურად ადგენს მოსწავლის საბოლოო შეფასებას სასწავლო წლის ბოლოს. 2020-2021 სასწავლო წლამდე სკოლას ყველა წესის დაცვით ჰქონდა საშუალება მატერიალური ჟურნალის წარმოების. შეფასების შედეგები გადადის მოსწავლის პირად საქმეებში. ყველა დოკუმენტი შენახულია კანონის შესაბამისად. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დაარქივებულია და ინახება: ანბანური წიგნი, ატესტატების წიგნი, ბრძანების წიგნი, პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი და სხვ.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი;
- ვერიფიკაციის შემუშავების მექანიზმი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- ელქტრობული ჟურნალები;
- მოსწავლეების პირადი საქმეები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ბრძანება არქივზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო** - სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც დასტურდება კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში ურთიერთდასწრებებზე მიცემული რეკომენდაციებით, კურიკულიმებზე ერთობლივი მუშაობით, სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობით. პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად** - სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. საგნის მასწავლებელი გაკვეთილის, აქტივობის დაგეგმვისას ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, სკოლაში ხორციელდება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი აქტივობები, როგორც საგაკვეთილო, ასევე სასკოლო დონეზე. მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტებში, ღონისძიებებში სკოლას აქვს გამოცდილება მოსწავლეთა საჭიროებების კვლევისა. სკოლა გეგმავს ახალ 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში, კათედრებზე ჩატაროს დიაგნოსტიკური შეფასებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას** - პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას პრიორიტეტად მიიჩნევენ ურთიერთანამშრომლობასა და საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. კათედრაზე შეხვედრებისას ანალიზდება მოსწავლეთა ნამუშევრები. კათედრის წევრებს კარგად ესმით გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან/გაერთიანებებთან კოორდინირებული მუშაობა კათედრების წევრთა მოვალეობაა, ამის უზრუნველყოფისათვის კი მეტად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა, გუნდურობა. სკოლაში სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადასაწყვეტად, როგორც წესი, მნიშვნელოვანია არა ერთი ან ორი პედაგოგის ჩართულობა, არამედ იმ გუნდის სრულად, რომელსაც სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე** - სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთდასწრების დოკუმენტი;
- მასწავლებლის პორტფოლიოები;
- საგნობრივი კურიკულუმები.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად - სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში ასახულია, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმიც არის. აღნიშნული დოკუმენტების მიზანია პასუხი გასცეს შეკითხვებზე - მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად (მონიტორინგი)? აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი ეფექტი (შეფასება) ? ვინაიდან სკოლას აქვს შემუშავებული აღნიშნული დოკუმენტები, უნდა ვიფიქროთ, რომ მათ აქვთ მზაობა პერიოდულად (ციკლურად) მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ურთიერთდასწრების გაკვეთილების შემდეგ მიცემული უკუკავშირებიდან. ასევე მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას, სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას - პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ, კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ, კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კურიკულუმის ვერიფიკაციის დოკუმენტი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს** - შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე დამოუკიდებელი ინდივიდია და თავად არის საკუთარი ცოდნის კონსტრუქტორი. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების აღწერილობა კარგად არის მოცემული შეფასების რუბრიკებში, რომლებიც ცნებასა და მკვიდრ წარმოდგენებზეა ორიენტირებული. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით** - მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესი ხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შეფასებაც წინასწარ შექმნილი შეფასების რუბრიკების საშუალებით მიმდინარეობს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები** - მასწავლებელი შეფასების დროს ითვალისწინებს შეფასების სხვადასხვა ფორმებს, რომელიც ნაწილობრივ ატარებს ჰოლისტურ ხასიათს და ნაწილობრივ ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებელი ცდილობს მოაგროვოს სრული ინფორმაცია მოსწავლის შესახებ მრავალფეროვანი წყაროებიდან. სრულყოფილი ინფორმაციისთვის, მასწავლებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოკითხავს მოსწავლეს, მის თანატოლს, მშობელს, სხვა მასწავლებელს, დამრიგებელს და სკოლის სხვა პერსონალს, რათა ზუსტ ინფორმაციასთან უფრო მიახლოებული ვარიანტი მიიღოს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით** - მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. შეფასებისას სკოლა გამოიყენებს აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზის მეთოდს. შეძლებისდაგვარად, გაითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებსაც, რომლებიც დაეხმარება შეფასებისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი;

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი** - სკოლას გაწერილი აქვს კურიკულუმის განვითარების ეტაპები, კათედრას აქვს რეფლექსიები, სადაც წარმოდგენილი აქვთ რომელმა კომპლექსურმა დავალებამ იმუშავა კარგად, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასებებისა და მშობელთა ვერბალური გამოკითხვის საფუძველზე ახდენენ ანალიზს, თუ როგორ დაგეგმონ შემდეგი წლის კურიკულუმი. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სრულიად სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს,განიხილავენ და აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, აძლევენ რეკომენდაციებს.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს** - სკოლას შედგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. აქ შემუშავებულია რეკომენდაციები შემდეგი წელიწადის კურიკულუმის დასახვეწად. კათედრა სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში გაითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნის დონის შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის დონეზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სახელმწიფო ენა - 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა; ახალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. კათედრის პედაგოგთა „საგნის ანგარიშის“ ფორმები.

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.
5.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას -** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში- კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია, აღნიშნულია, რომ კურიკულუმის განვითარებაში აქტიურად ერთვებიან მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები და დირექცია, რაც თავისთავად გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კათედრები საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად კურიკულუმის სხვა კომპონენტებთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესის თემატურად დაგეგმვის პრინციპს. მათი აზრით, ამ პრინციპის გამოყენება იწვევს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის ამაღლებასა და სასწავლო პროცესში მათ აქტიურად ჩართვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები** - საგნობრივი კურიკულუმები შემუშავდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შესაბამისი საგნის მასწავლებლების მიერ კოლეგებთან თანამშრომლობით. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მათი გამოკითხვის საშუალებით. კერძოდ, დაიგეგმა ახალი სასწავლო წლიდან კომპლექსური დავალებების დამატება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ -- პედაგოგები, სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მათი მოტივაცია და აქტიურობა ინტერვიუირების დროსაც გამოიკვეთა. მათი სურვილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი იყოს ღია და გამჭვირვალე. მზად არიან ამ პროცესში ჩართონ განათლების სპეციალისტებიც და ერთობლივად გააანალიზონ, როგორც საკუთარ გამოცდილება, ასევე, ის პრიორიტეტები, რომელთა გათვალისწინებაც კურიკულუმის შემუშავებისას ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას. კურიკულუმის განხორიციელების მეთოდოლოგიის დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესები და რაც მთავარია, მათი ფუნქციები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ** - კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მექანიზმი, რომლითაც ხდება კურიკულუმის შემუშავება და შემდგომ მისი განხორციელება, საშუალებას იძლევა კურიკულუმის დეტალები გაზიარდეს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ. კურიკულუმის რევიზიის ეტაპზე, როდესაც ხდება ახალი კურიულუმის შემუშავება, ხდება წინა წლის წარმატებული გამოცდილების გაზიარება, აქ ჩართულია როგორც კათედრა, ასევე დირექცია, განხილვისას ყურადღება ექცევა მოსწავლეთა მიღწევების ანალიზს. ამავე დოკუმენტით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ირკვევა, რომ თემაზე მუშაობის პროცესში მასწავლებელი ინფორმაციას უზიარებს მშობელს და ხდება მიმდინარე პროოცესის შეფასება. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში მშობელს ეგზავნება ე.წ მშობლის ბარათი, რაც უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებულობას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
- სასკოლო პროექტებში და შიდასასკოლო კონფერენციებში მონაწილეობისა და სხვა აქტივობების ამსახველი ფოტო-მასალა.

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას -** წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტებში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები და სასწავლო პრინციპები. დოკუმენტაციის გაცნობისა და მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ გამოიკვეთა, რომ პედაგოგები კურიკულუმს, მის სტრუქტურას განიხილავენ, როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რომლის გაცნობიერებასა და სასწავლო პროცესში დასანერგად მათ ეხმარებათ საფეხურის შედეგების დაკავშირება თითოეული გრძელვადიანი სამიზნე ცნების ქვეცნებებთან და მკვიდრ წარმოდგენებთან. თავიანთი ხედვის დასადასტურებლად ინტერვიუირებისას პედაგოგებმა წარმოადგინეს კომპლექსური და კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალება. აღნიშნეს, რომ ისინი აკვირდებიან მოსწავლეთა ნამუშევრებს მთელი წლის განმავლობაში და აანალიზებენ მოსწავლეთა ნამუშევრებს საფეხურის შედეგებთან და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)** - წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, კურიკულუმის ჩარჩოს პედაგოგთა მიერ შევსებული სტრუქტურული ერთეულები და რამდენიმე კომლექსური დავალების პირობა შესაძლებლობას იძლევა ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ფუნქციურ- კომპეტენტური უნარების განვითარებას. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები პედაგოგთა მხრიდან განიხილება გრძელვადიან სასწავლო მიზნებად, რომლებიც უკავშირდება საფეხურის სასწავლო შედეგებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს** - კათედრა ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, სსსმ მოსწავლეებისათვის ხორციელდება ინდივიდუალური გეგმის შედგენა და შემდეგ შეფასება. გასაუბრების ეტაპზე გამოვლინდა, რომ სკოლას აქვს ტექნოლოგიებით აღჭურვილი კაბინეტი, სადაც შესაძლებელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოხდეს მასალის დიფერენცირება, განსხვავებული უნარების მქონე მოსწავლეებისათვის მასალსა შესაძლებელია შეთავაზებული იყო განსხვავებული ფორმატით (ტექსტი, ვიდეო, კომიქსი, და ა.შ). გარდა ამისა, შუალედური მიზნის დოკუმენტიდან ვადგენთ, რომ კომპლექსური დავალების პროდუქტი (საკითხი) შეუძლია მოსწავლემ თვითონ აირჩიოს, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე. .კურიკულუმის მეთოდოლოგიის განვითარების დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის კონცეფციაზე მუშაობის დროს კურიკულუმშივე ხდება კონკრეტული სტრატეგიების ,, ჩაშენება'' რომელიც ეხება სწავლების დიფერენცირებას. კერძოდ, ხდება იმის განსაზღვრა, თუ რა ფორმით უნდა გამოხატოს მოსწავლემ ცოდნა შესასწავლ საკითხთან/საკითხებთან დაკავშირებით. შეფასების ერთ-ერთ მიზნად განისაზღვრება სწავლების დიფერენცირება, კერძოდ, მოსწავლეთა შედგების ანალიზით, მათი დიაგნოსტირებით მიღებული ინფორმაცია შემდეგ გამოყენებული იქნება სასწავლო მასალის დიფერენცირების მიზნით.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს - სკოლას წარმოდგენილი აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. როგორც სკოლის სამოქმედო გეგმიდან ჩანს, სკოლა უპირატესობას ანიჭებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. პედაგოგებს შეძლებისდაგვარად გააზრებული აქვთ შეფასების რუბრიკების დანიშნულება და ფუნქცია სამიზნე ცოდნის კონსტრუირების პროცესში. **ესთეტიკური აღზრდა** - სასურველია, სკოლას ამ ეტაპზე შემუშავებული ჰქონდეს პროექტის შეფასების რუბრიკა, რომელშიც დაწვრილებით იქნება გაწერილი პროექტის შეფასების კრიტერიუმები და მორგებული იქნება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებებზე. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი** - 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შემუშავების დროს პედაგოგების მიერ გათვალისწინებული იქნა კათედრაზე არსებული გამოცდილება, მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული კომპლექსური დავალებების შედეგების ანალიზი. ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებმა განმარტეს, რომ გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინარე გამოცდილება, რისთვისაც გამოიყენებენ სხვადასხვა სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტებს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები (2022-2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სლის სასწავლო გეგმა) და ამ ნიმუშების ინტერვიურებისას წარმოდგენილი რეფლექსია, გულისხმობს ამ გამოცდილების ასახვას ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსური დავალებები,
- მოსწავლეების ნამუშევრები;
- 2022-2023 სასწ. წლის კურიკულუმები და მატრიცები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას** - პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართვა. სკოლის პედაგოგებისთვის თითოეული მოსწავლე განიხილება დამოუკიდებელ ინდივიდად, მოსწავლეებისთვის ხელშეწყობა ხდება იმ მიზნით, რომ პედაგოგების მიერ მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში, ბავშვებს აქვთ ნებისმიერი განსხვავებული აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. ვინაიდან, კათედრებს აქვთ კომპლექსური ტიპის დავალებებზე მუშაობის გამოცდილება, აგრეთვე კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში გაწერილი აქვთ კომპლექსური დავალებების პირობები იმგვარად, რომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი აძლევს მოსწავლეს შანსს აქტიურად ჩაერთოს პროცესში. კომპლექსური დავალებების პირობა ხშირ შემთხვევაში იძლევა შესაძლებლობას მოსწავლე არა მხოლოდ მონაწილე იყოს პროცესისი არამედ შემოქმედიც, მას უწევს პრობლემის გადაჭრა, სტრატეგიების გააზრდება და სხვადასხვა ტიპის პროდუქის შექმნა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით** - პედაგოგებთან გასაუბრისას გაირკვა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილებას და მიმდინარეობს ნაცნობიდან უცნობის, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით. ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას, რათა მიღებული ინფორმაცია აქტიურად გარდაქმნან ცოდნად. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შესწავლის საფუძველზეც იკვეთება, რომ კათედრას გააზრებული აქვს თემატური დაგეგმის მნიშვნელობა, ჩანს რომ თემების გაწერის დროს გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკი, მათი მზაობა და ინტერესები. , შუალედური მიზნის დოკუმენტაციაში მოცემულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონტექსტ მაგალითითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყდრნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე - წარმოდგენილ კურიკულუმებში მოცემულია თემის შესაბამისი კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალება თავისი ბუნებით, მოითხოვს მეტაკოგნიციას, რადგან დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე აკეთებს დასკვნას, გამოკვეთს საკუთარ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს. მასწავლებლების ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ ყურადღება მახვილდება ისეთ მასალაზე, რომელიც შეიცავს მოსწავლეების განსხვავებულ ხედვებს, მათ მიერ პრობლემის იდენტიფიცირებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული) - სასკოლო სასწავლი გეგმიდან ირკვევა, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეებში პროცედურული და პირობისეუილი ცოდნის განვითარებაზე. ასევე კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტიდან ჩანს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების პირობა იმგვარადაა შედგენილი, ის თავის თავში მოიცავს ანალიზს, შედარებას, შეფასებას და სხვა მაღალ სააზროვნო უნარებს. გასაუბრების დროს კათედრის წარმომადგენლების მხრიდან დადასტურდა, რომ დეკლარატიული ცოდნა, მაგალითად ფაქტების, გრმატიკული წესების ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს. ზოგადად, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ პროგრამებში, მოსწავლეთა მიერ შესრულებულ დავალებებსა და მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება** -სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება მეტად მნიშვნელოვანია. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. საშუალო საფეხურის პედაგოგები პირად შეხვედრებსა და საგნობრივ ოქმებში აფიქსირებენ კომპლექსური დავალებებით სწავლა - სწავლებას, დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, რათა მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის მიღება და გამოყენება. ამასთანავე, პედაგოგები ეხმარებიან ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში, იმისათვის, რომ მოსწავლეებში გაიზარდოს გააზრების, დამახსოვრებისა და ცოდნის ფუნქციური გამოყენების შესაძლებლობები, რაც წარმატებული სწავლის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორია. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით** - სკოლას საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებული აქვს გრძელვადიან მიზანთან მიმართება, თემებში მუშავდება სამიზნე ცნებები, იქ სადაც კომპლექსური დავალების იდეას განსაზღვრავს სკოლა, ჩანს სამიზნე ცნებისა და საკითხის ფორმულირება, განსაზღვრულია ზოგადი ქვეცნებები. შემუშავებული კურიკულუმების ჩარჩოების მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისების ხელშესაწყობად. მოწოდებულ დოკუმენტაცია იძლევა იმის საშუალებას მკაფიოდ იქნას განხულული, როგორ ითვალიწინებს სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას** - სასკოლო სასწავლო გეგმიდან და წარმოდგენილი კურიკულუმიდან ირკვევა, რომ კათედრა ახორციელებს კომპლექსური ტიპის დავალებებს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს მოსწავლის მხრიდან რაიმე ტიპის პროდუქტის შექმნას. ამ პროდუქტზე მუშაობის პროცესში ხშირად მოსწავლეს უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, ხდება თვითშეფასება და ურთიერთშეფასება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, მოსწავლეს უჩნდება თვითრეფლექსიის უნარები. სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების უკეთ განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ კათედრებმა დაგეგმონ კლასგარეშე აქტივოებები არაფორმალურ გარემოში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც მოსწავლისგან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას, მოხდეს შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებების იმგვარად მოდიფიცირება, რომ ის მოერგოს კონკრეტულად სკოლას, თემს და მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე** - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლას სამომავლოდ გააზრებული აქვს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები კარგად ერკვევიან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსში. საშუალო საფეხურისათვის შემუშავებული შეფასების ფორმები და ინსტრუმენტები მოსწავლეს ჰოლისტურ განვითარებაზეა ორიენტირებული. აღნიშნულის მიღწევას უზრუნველყოფს განმავითარებელი უკუკავშირი. კომენტარით შეფასება მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას დაადგინოს მისი სუსტი და ძლიერი მხარეები და მასწავლებლის მხარდაჭერით მოახდინოს პროგრესი/განვითარება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი - სკოლას აქვს პრაქტიკა შეფასების კრიტერიუმების შემუშავებაში მოსწავლეთა ჩართულობის. სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება მშობლებისთვის სიახლეების გაცნობა. სკოლაში მოქმედებს, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე 10 - ქულიანი, განმსაზღვრელი შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. შეფასების სისტემა ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული სასწავლო გეგმას“. სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კათედრების მიერ შემუშავებულია შეფასების კრიტერიუმები. კათედრის წევრებთან ინტერვიუდან და აგრეთვე, მათ მიერ შექმნილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშაონ ისეთი შეფასების კრიტერიუმები სადაც მოსწავლეთა შეფასება იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი** - სკოლის მიერ გადმოგზავნილ ვერიფიკაციის დოკუმენტში დეტალურად არის ახსნილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. ამ ეტაპზე, სკოლაში შეფასებების ვერიფიკაცია ხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ, თუმცა 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის შედგენა. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით - შეფასების შედეგები აისახება ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც ავტომატურად ადგენს მოსწავლის საბოლოო შეფასებას სასწავლო წლის ბოლოს. 2020-2021 სასწავლო წლამდე სკოლას ყველა წესის დაცვით ჰქონდა საშუალება მატერიალური ჟურნალის წარმოების. შეფასების შედეგები გადადის მოსწავლის პირად საქმეებში. ყველა დოკუმენტი შენახულია კანონის შესაბამისად. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დაარქივებულია და ინახება: ანბანური წიგნი, ატესტატების წიგნი, ბრძანების წიგნი, პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი და სხვ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო;
- ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი.
- სკოლის ელექტრონული ჟურნალი.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო - სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. მათ შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი. კათედრის ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირსა და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად - კათედრის წევრებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს ესმით ყველა მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის მნიშვნელობა, ამისათვის მათ შეუძლიათ გამოიყენონ კლასის მართვის ეფექტიანი სტრატეგიები, ხელს შეუწყონ და გაახალისონ თვითრეგულირებადი ქცევა. სასკოლო კულტურა იზიარებს ისეთ ღირებულებებს, როგორებიც არის მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხმის უფლება სამეურვეო საბჭოში. სკოლას აქვს განმავითარებელი შეფასების გამოყენების გამოცდილება და აქვს მზაობა შეფასების ამ მიმართულებით გამოყენებისა - პედაგოგები მოსწავლეების ცოდნას იყრნრბრნ სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს. ზემოთ აღნიშნული უნარების განვითარება დაწყებითი საფეხურიდან იწყება. გასაუბრების დროს კათერდას მიეცა რეკომენდაცია შექმნას სასკოლო კლუბები და წრეები, რაც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე დაგეგმონ და გაითვალისწინონ მათი სურვილები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას - პედაგოგები სასწავლო პროცესის წარმართვისას პრიორტეტად მიიჩნევენ ურთიერთანამშრომლობასა და საკუთარი გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს, რასაც ადასტურებს ურთიერთდასწრების დოკუმენტი. ასევე, აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს. განიხილავენ რეფლექსიებს, რეფლექსიების საშუალებით ერთად არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე - სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული პოზიტიური და მიმღებლობითი გარემო. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს მათი უნარისა და შესაძლებლობების ფარგლებში შეუძლიათ სასურველ ფორმატში განახორციელონ კომპლექსური დავალებები, არ იზღუდება მათი არჩევანი, რაც მათ საშუალებას აძლევს მეტად თავდაჯერებულები იყვნენ. სკოლაში არსებობს ჯანსაღი, ნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობითი გარემო. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად** - სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დევს კურიკულუმის ვერიფიკაციის მექანიზმიც. აღნიშნული დოკუმენტების მიზანია პასუხი გასცეს შეკითხვებზე - მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად (მონიტორინგი)? აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი ეფექტი (შეფასება)? სკოლას აქვს მზაობა პერიოდულად (ციკლურად) მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას - მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გააანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამომავლო მიზნების შემუშავებას. ეს დამოკიდებულება კარგად ჩანს ურთიერთდასწრების გაკვეთილების შემდეგ მიცემული უკუკავშირებიდან. ასევე მასწავლებლები, კათედრების მიხედვით, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით ადგენენ სამომავლო გეგმას, სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას** - სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განისაზღვრება ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც სამომავლოდ აისახება ცვლილებების სახით. მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას. პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა/სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ, კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს - სკოლას შედგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის იმ ნაწილში, რომელიც შეფასებას ეხება მითითებულია, რომ შეფასების მიზანია მოსწავლეთა დიაგნიოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან მიმართებით. გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ კათედრა მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს იყენებს, რომელთაც აქვთ ჰოლისტური ხასიათი. კათედრას გააზრებული აქვს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მშობლებთან და მთლიანად სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობა მოსწავლეთა შეფასების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით** - მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლა გეგმავს მოსწავლეთა შეფასებას მრავალხრივად და არა მხოლოდ მათ მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე. საგაკვეთილო პროცესი განხორციელდება სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით (ჯგუფური მუშაობა, წყვილებში მუშაობა, ინდივიდუალური, პრეზენტაცია, მოსწავლეზე დაკვირვება). შეფასება განხორციელდება შესაბამის რუბრიკებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ფასდებიან, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასებით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები** - დოკუმენტაციის შესწავლისას, ასევე გასაუბრების ეტაპზე გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასებისას სკოლა ხელმძღვანელობს მრავალფეროვანი წყაროებით. დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო მშობლების ანკეტირების დამადასტურებელო დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა მშობლებისგან იღებს მოსწავლეების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას, რასაც შემდეგ ეფექტურად იყენებს შეფასების პროცესში. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით** - მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, კათედრები გეგმავენ სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება. შეფასება წარმართოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. შეფასებისას სკოლა გამოიყენებს აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზის მეთოდს. შეძლებისდაგვარად გაითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებსაც, რომლებიც დაეხმარება შფასებისას. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი** - კათედრაზე შექმნილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი, რის მიხედვითაც მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. კათედრის წევრები სისტემატიურად ესწრებიან ერთმანეთს, განიხილავენ და აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილებს, კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხარვეზის შემთხვევაში, აძლევენ რჩევებს და რეკომენდაციებს, წარმატებული აქტივობების შემთხვევაში, იზიარებენ საუკეთესო პრაქტიკას.სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს** - კათედრები სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში გაითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნის შედეგებს, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიებს, როგორც კლასის დონეზე, ასევე საფეხურის შესაბამისად. შეეცდებიან შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნები ახლა უკვე მიღებული გამოცდილების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის სხდომის ოქმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასკვნა 123 (ასოცდასამი) გვერდი;

თანდართული დოკუმენტაცია: 148 (ასორმოცდარვა) გვერდი.

26.07.2023წ.
თარიღი









ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: